# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

№ 244 (5845)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„შეიძლება ადამიანი მოატყუო ერთხელ, ორჯერ, მაგრამ მუდმივად მოტყუება შეუძლებელია“



## შეუსრულებელი დაპირებები და ვალებში ჩაფლული ხელისუფლება ③④

## მაინცდამაინც კოსოვოსა თუ ერაყში მომსახურე ჯარისკაცები უნდა ვიყოთ, რომ 5 იანვარს ყველამ შევძლოთ არჩევნებში მონაწილეობა?! ②

## ოლიგარქის დაბრუნება ⑪



## არადა, როგორ მიყვარდა ჩემი მიუნჰაუზენი! ⑤

ო, რა სწრაფად ივსება ნაცმოძრაობის ჯუდა



## ოლიმპიურმა ჩემპიონებმა უკადრებელი იკადრეს ⑫



შემცდარხარ, ზვიადაურო!..


## საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებო!

უძველესი ქართული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 5 იანვრის არჩევნებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და რეკლამისთვის გთავაზობთ ნებისმიერი მოცულობის საგაზეთო ფართობს ყველაზე იაფად ქართულ მასმედიაში (1 კვ.სმ – 60 თეთრი).

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკას“ ჩვენთან და საზღვარგარეთ 22 ქვეყანაში ინტერნეტით ეცნობა მინიმუმ 200 000 ადამიანი.

ამას ემატება ხელმომწერთა და საცალო ქსელში გაზეთის მკითხველთა სოლიდური რაოდენობა.

ჩვენთან რეკლამა უდიდესი წარმატების მომტანია!

მოგვმართეთ მისამართზე: კოსტავას ქ.№12. ტელ:98-65-87;

ელექტრონული ფოსტა: Sakresp-@ayety.ge

ვებგვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

## პრეზიდენტობის კანდიდატი

# შალვა ნათელაშვილი ანაბრების დაბრუნებას გვპირდება

**საქართველოში წინასაარჩევნო კამპანიამ სულ უფრო მეტი ძალა მოიცვა. პრეზიდენტობის კანდიდატები, გაცნობიერებული აქვთ რა ხალხის გულის მოგების მნიშვნელობა, თითქმის 24-საათიან სამუშაო რეჟიმზე არიან გადასული. საზოგადოებაში სასურველი იმიჯის შექმნა და ამომრჩევლის ხმის დაპატრონება ხუმრობა საქმე როდია. ამის გამოა, რომ დღეს ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატები უჩვეულოდ აქტიურები, ჰუმანურები, სიახლეთა მოყვარულები გვეჩვენებიან. ყოველდღიურად მრავალჯერადი შეხვედრები, მომგებიანი სლოგანები და კამპანიები პრეზიდენტობის ყოველი კანდიდატის დღის წესრიგის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.**

პიარმენეჯერთა დაკვირვებით, არჩევნების წინ, ყველაზე მნიშვნელოვანი და კანდიდატებისათვის მომგებიანია წინასაარჩევნო დაპირებები. ამიტომაც, ჩვენი კანდიდატების დაპირებათა სია ყოველდღიურად მრავალფეროვანი ხდება. გამონაკლისი, ბუნებრივია, არც ლეიბორისტული (შრომისძ პარტიის ლიდერია (შალვა ნათელაშვილი ენერგიისა და იდეების სიმცირეს არც არასდროს უჩიოდა და მით უმეტეს – საპრეზიდენტო არჩევნების წინძ.

შრომის პარტიის ლიდერმა გუშინწინ ჩვეული ემოციით, იუმორითა და ორიგინალურობით, საქართველოს მოსახლეობას კანონპროექტი წარუდგინა, რომლითაც მოსახლეობას ანაბრების დაბრუნებას პირდება. ანაბრების საკითხი საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ოჯახისათვის მტკივნეული თემა რომაა, ლეიბორისტთა ლიდერმა კარგად იცის და ეს საკითხი წინასაარჩევნო ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაპირებადაც აქცია.

შალვა ნათელაშვილის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს ყოველ მეანაბრეს, რომელთაც წლების წინათ დანაზოგები მოპარეს, ეს თანხები ბოლო თეთრამდე უკან დაუბრუნდებათ. კანონის ავტორს ანაბრების გაცემა ეტაპობრივად წარმოუდგენია, ანუ ანაბრების გაცემა დაიწყება რიგითობით, მეანაბრეთა ასაკის მიხედვით, უფროსი ასაკიდან ქვემოთ. მაგალითად, თავდაპირველად ანაბრები დაუბრუნდებათ ოთხმოციდან ას წლამდე ასაკის ადამიანებს, შემდეგ 70-50 წლისებს და ა.შ. ანაბრების გადაცემის ასეთი რიგითობის მიუხედავად, აღნიშნული კანონი გამონაკლის შემთხვევებსაც ითვალისწინებს და ვადაზე ადრე გადაეცემათ ანაბარი:

მეანაბრის გარდაცვალებისას ანაბარი დაუბრუნდება მის მემკვიდრეს; მეანაბრის ჯანმრთელობის უკიდურესი გაუარესებისას (გადაუდებელი ოპერაციის ან მკურნალობის ხარჯების დასაფარავადძ; ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში (სტიქიური უბედურებისას და სხვაძ.

შემუშავებული კანონის მიხედვით უნდა მოხდეს ანაბრების სამართლიანი სავალუტო კურსით გადაანგარიშება – ინდექსაცია. ანაბრების ინდექსაცია უნდა განახორციელდეს მაშინ არსებული ვალუტის, შეტანის დროს აშშ დოლართან მიმართების შესაბამისად, დღევანდელი ეროვნული ვალუტის კურსთან გადაანგარიშებით.

შ.ნათელაშვილის ხედვით, შეიქმნება მეანაბრეთა დავალიანების გასასტუმრებლად საჭირო სპეციალური ფონდი. ამ ფონდის დაფინანსება კი, კანონპროექტის მიხედვით, ყოველწლიურად სახელმწიფოს ბიუჯეტიდან განხორციელდება. კონკრეტულად, როგორ და რის ხარჯზე გამოიყოფა ყოველწლიურად ბიუჯეტიდან მინიმუმ ასი მილიონი ლარი, ამ კანონპროექტში ამის თაობაზედ არაფერია ნათქვამი.



შრომის პარტიის კანდიდატისთვის ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს კიდევ ერთხელ რომ არ დაებრალებინათ უტოპიურ სოციალიზმში გადავარდნა, ბატონ შალვას ანაბრების გასასტუმრებლად საჭირო თანხების მოსაძიებლად კონკრეტული საშუალებების გამხელა ვთხოვეთ. „ანაბრების გაცემას ვაპირებთ ასე: პრეზიდენტის ნახევარმილიარდიანი სასახლე დაკონსერვდება, აღარ აშენდება და ნახევარი მილიარდი სრულიად საკმარისია, რათა ნახევარ წელიწადში 80-100 წლამდე მოქალაქეები დავაკმაყოფილოთ. აუქციონზე გაჰიტანთ 60 მილიონ დოლარად შეფასებულ სააკაშვილის თვითმფრინავს, ამასაც მიიღებენ მეანაბრეები და ასე გაგრძელდება“, – გაგვიმარტა შ.ნათელაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის კანონპროექტი შეფასდება თუ არა უტოპიად, მომავალი გვიჩვენებს, თავად კანონპროექტის ავტორთათვის კი ეს დაპირება შესრულებადია და არც თუ ისე რთულად გადასაჭრელი.

**თამარ ბუზალაძე**

## წკეპლიკა



# მაინცდამაინც კოსოვოსა თუ ერაყში მომსახურე ჯარისკაცები უნდა ვიყოთ, რომ 5 იანვარს ყველამ შევძლოთ არჩევნებში მონაწილეობა?!

● ცესკოს ხელმძღვანელებმაც და იურიდიული სამსახურის წარმომადგენლებმაც ამ კითხვაზე გვიპასუხეს, რომ მოქმედი კანონმდებლობით ყველამ მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა

**კარგი იქნება, თუ ბატონი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში მცხოვრებ ამომრჩეველთა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვითაც დაინტერესდება!**

**გუშინ დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი იმის გამო, რომ ცესკოს გადაწყვეტილებით ერაყსა და კოსოვოში მომსახურე ქართველ სამშვიდობოებს აეკრძალათ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა.**

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის სპიკერმა დავით ბაქრაძემ ბრიფინგზე ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა, ამაში **ცესკოს** წევრი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები დაადანაშაულა და ხაზგასმით აღნიშნა: **ეს იმიტომ გააკეთეს, რომ მიხეილ სააკაშვილს არჩევნებში 2000 ხმა დაეკარგვინონო (საინტერესოა, საიდან მოდის ასეთი თავდაჯერება, იქნებ იმ ჯარისკაცთაგან რამდენიმე მაინც მხარს სხვა კანდიდატს უჭერდეს?!ძ.**

თვით მიხეილ სააკაშვილმაც დაიწუნა **ცესკოს** ეს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ, შესაძლოა, საქმე სასამართლომდეც მივიდეს.

**საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ქართველ ჯარისკაცს, რომელიც საქართველოს დავალებითა და სახელით საზღვარგარეთ ასრულებს სამშვიდობო მისიას, კი უნდა ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება** (თუ ამას მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებსძ, **მაგრამ მაინცდამაინც ეს ჯარისკაცები უნდა ვიყოთ, რომ ყველამ შევძლოთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა?**

არადა ადვილი შესაძლებელია, რომ თვით საქართველოში მყოფ ჩვენი ქვეყნის მრავალ მოქალაქეს არ ექნეს ამის საშუალება (ჩვენი გაზეთი უკვე რამდენჯერმე წერდა ამაზეძ.

**საქმე ის არის, რომ არჩევნების დროს სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს არდადეგები აქვთ. ამის გათვალისწინებით, ადვილი შესაძლებელია, ბევრი ოჯახი (ამომრჩეველიძ გავიდეს თბილისიდან დასასვენებლად თუ სოფლებში მცხოვრებ მშობლებთან ან ახლობლებთან, ან პირიქით, რაიონებიდანაც დააპირონ ადამიანებმა თბილისში სტუმრად თუ სამსახურებრივი მოვალეობის გამო ჩამოსვლა.**

სად და როგორ უნდა მიიღონ მათ მონაწილეობა არჩევნებში?

**ცესკოს ხელმძღვანელებმაც და იურიდიული სამსახურის წარმომადგენლებმაც ამ კითხვაზე გვიპასუხეს, რომ მოქმედი კანონმდებლობით ყველამ მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა.**

**ასე იყო ადრეცო.**

ამაში დაეჭვებულმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწორედ ადრინდელ თავმჯდომარეებს, ყველასთვის ცნობილ და პატივსაცემ ადამიანებს **ივანე კილურაძესა** და **ჯუმბერ ლომინაძეს** ვთხოვეთ, ეთქვათ, მართლა ასე იყო თუ არა **„ადრეც“**.

**არაო,** – გვიპასუხა ბატონმა ივანემ, **– თბილისიდან საქმეზე რაიონებში გასულ ამომრჩევლებსაც შეეძლოთ სათანადო დოკუმენტის საფუძველზე ხმის იქ მიცემა და რაიონებიდან ჩამოსულებისთვისაც გვქონდა თბილისში გახსნილი სპეციალური საარჩევნო უბანიო.**

**იგივე დაადასტურა ბატონმა ჯუმბერ ლომინაძემაც.**

**არ ყოფილა, ხომ, ბატონებო, ასე „ადრეც“?**

მაშ, გეკითხებით, რა მოიმოქმედონ იმ ადამიანებმა, რომლებიც არჩევნების დღეს თბილისში არ იქნებიან, ან, პირიქით, თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან დედაქალაქში მოუწევთ ჩამოსვლა? **როგორღა აღასრულონ მათ თავიანთი ერთ-ერთი უმთავრესი მოქალაქეობრივი მოვალეობა?**

თავს უფლებას ვაძლევ და **მივმართავ პრეზიდენტობის კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს,**

**რომელმაც გუშინ გააკრიტიკა ცესკოს გადაწყვეტილება და ივარაუდა, რომ ეს საკითხი, შესაძლოა, სასამართლოშიც გახდეს განსასჯელი: იქნებ ზემოაღნიშნული ადამიანებითაც დაინტერესდეს და დააყენოს მათი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის საკითხი?**

**არა მგონია, რომ ასეთი ადამიანების რიცხვი ორი ათასზე ბევრად მეტი არ იყოს!..**

**რუსლან რუსია**

## საარჩევნო შტაბი

# ფერეიდნელი ქართველები სააკაშვილს უჭერენ მხარს...

**ფილარმონიაში განთავსებულ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის შტაბში საღამოხანს შევიარე. შტაბის უფროსი ფრიდონ თოდუა დაგვპირდა, ამ დროს მობრძანდით და ინტერვიუს მოგცემთო. შტაბში საქმიანად ფუსფუსებდნენ. ბატონი ფრიდონი ფოიეში ხალხს ელაპარაკებოდა. ჩანდა, მოცლილი არ იყო და მრავალი ადამიანი უნდა გაესტუმრებინა, მორიდებით შევახსენე, რომ ჟურნალისტი ვიყავი და მას ველოდებოდი. სამწუხაროდ, მოუცლელობა მოიმიზეზა, საუბარზე უარი განმიცხადა და ჩემი თავი მარიკა ვერულაშვილს გადაულოცა – სჯობს, მას დაელაპარაკოო. ქალბატონმა მარიკამ კი შტაბის პრესცენტრის უფროსს დაუძახა და მას „ჩამაბარა“.**

ქეთევან ქოჩორაშვილმა განმიმარტა, რომ შტაბი 24 საათის განმავლობაში მუშაობს. მისი კარი მოქალაქეებისთვის ღია, ყველას, ვისაც კი რაიმე პრობლემა აწუხებს, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან. შტაბში ხშირად მიდიან თურმე მათი საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდამჭერები დიდი მადლობის სათქმელად. თითქმის ყოველდღიურად იმართება შეხვედრები კულტურის მოღვაწეებთან, სპორტსმენებთან, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

ჩვენი საუბრის დროს, საპრეზიდენტო კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად შტაბს ფერეიდნელმა ქართველებმა მოაკითხეს.

ფერეიდნელი ქართველი რეზო რამიშვილი ეთანხმება მიხეილ სააკაშვილის კურსს, რომელიც, მისი თქმით, გულისხმობს ქვეყნის გაერთიანებას, ეკონომიკურ აღმავლობას, მშვიდობასა და სტაბილურობას, დასაქმებას, კარგ და ბედნიერ მომავალს.

რეზო რამიშვილი ფიქრობს,რომ თუ მშვიდობა იქნება, ხალხს მიეცემა შანსი ქვეყნის ასაღორძინებლად. აიღებენ კრედიტებს, მცირე და საშუალო ბიზნესით დასაქმდებიან.

საქართველოში თურმე ფერეიდნიდან ჩამოსული 50 ოჯახი ცხოვრობს. ისინი მხარს უჭერენ მიხეილ სააკაშვილს.

შტაბის პრესცენტრის უფროსს პრობლემებზეც შევეკითხე. პრობლემა არა გვაქვსო, – მომიგო. მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენი რესურსებით ყველაფერი გავაკეთოთო. შეკითხვაზე, რომელი საპრეზიდენტო კანდიდატი მიაჩნიათ მთავარ კონკურენტად, მიპასუხა, გამიჭირდება რომელიმე მათგანის სერიოზულ კონკურენტად აღქმა, თუმცა მაინც ყველაფერს ვაკეთებთ გამარჯვებისთვისო.

**ქეთი ქოჩორაშვილს ეჭვი არ ეპარება, რომ 5 იანვარს კვლავ მიხეილ სააკაშვილი გახდება პრეზიდენტი.**

**ნატა ნიბლაძე**

# ადულებული დრო

● „შეიძლება ადამიანი მოატყუო ერთხელ, ორჯერ, მაგრამ მუდმივად მოტყუება შეუძლებელია“



◉ არჩევნები, არჩევნები...

# შეუსრულებელი დაპირებები და ვალებში ჩაფლული ხელისუფლება

*5 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, უკვე ექს-პრეზიდენტის რანგში მოვლენილმა მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოების იმ ფენებთან შეხვედრა დაიწყო, რომლებიც მისი პირველკაცობის დროს ყველაზე მეტად დაზარალდნენ. მან წინასაარჩევნო პერიოდში გაიხსენა ვეტერანები, პენსიონერები, აკადემიკოსები და პედაგოგები, ის კატეგორია მოსახლეობისა, რომლებიც ხელისუფლების მიერ მეორეხარისხოვან კატეგორიად იქნენ მიჩნეული და ყოველგვარი დახმარება არა თუ შეუმცირეს, საერთოდ გააუქმეს. მიუხედავად მიცემული დაპირებებისა, მოსახლეობის დიდ ნაწილს აღარ სჯერა სააკაშვილის დაპირებებისა და მათ ოთხი წლის წინათ გაცემული ავანსების ანალოგიურად მიიჩნევს (თუ რა მოჰყვა იმ დანაპირებს, ყველასათვის ცნობილია).*

### მივიწყებულთა გახსენება არჩევნების წინ

**ანალიტიკოსები, ექსპერტები სააკაშვილისა და მოსახლეობის შეჭირვებული ფენის დამოკიდებულებას ამ უკანასკნელთაგან დანაპირებებისადმი სრულ უნდობლობას ცნობილი ფრაზით ხსნიან – „შეიძლება ადამიანი მოატყუო ერთხელ, ორჯერ, მაგრამ მუდმივად მოტყუება შეუძლებელია“.**

**გურამ ჩარგეიშვილი (პოლიციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი):** „ხელისუფლებამ სრულიად გაუმართლებელი საპენსიო რეფორმა ჩაატარა. „ნოვაციის“ მიხედვით ჩემს შემდეგ იგივე თანამდებობაზე მომუშავე და ერთ წლის მერე თადარიგში გასულ კაცს ჩემთან შედარებით გაორმაგებული პენსია დაენიშნა, რატომ? ჩვენ ხომ ერთი და იგივე სამუშაოს ვასრულებდით, თანაბარი წოდებები გვქონდა. ეს უსამართლობაა. ხელისუფლება გატარებული საპენსიო რეფორმებით კი არ უნდა ამაყობდეს, უნდა რცხვენოდეს მისი. მე ამათი აღარაფერი არ მჯერა“.

**რომან ალაფიშვილი (ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე):** „წინა ხელისუფლებამ გადაგვაგდო, ბრძოლების მონაწილეებს მიზერული შეღავათები დაგვიწესა. ყველანი იმედით ვუყურებდით „ვარდებით“ მოსულ ხელისუფლებას. წინასაარჩევნო პერიოდში იყო უამრავი დაპირება ცხოვრების პირობების, მკურნალობის, შეღავათების გაუმჯობესებისა და გაზრდის კუთხით. მაგრამ როგორც შემდგომ გაირკვა, ყველაფერს წინასაარჩევნო სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონია, ხელისუფლებამ ის მიზერულიც კი გაგვიუქმა. ამის შემდეგ შეიძლება ამათ რამეში ვენდო?

როგორც ცოტა ხნის წინათ მთავრობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, ჩვენ ხელისუფლებისთვის თურმე არაფერი გაგვიკეთებია. ისინი ქვეყანას და ხელისუფლებას აიგივებენ. მათს 90 პროცენტზე მეტს ხომ ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ქვეყნისთვის უმძიმეს წუთებში მამიკოების არმად ნაშოვნი ფულებით საზღვარგარეთის ქვეყნებს შეაფარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეთა უპირველესად დასაქმების შესახებ, კანონი ფაქტობრივად არ მოქმედებს. უფრო მეტიც, საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან (თავდაცვა, შსს და ა.შ.) ერთი ხელის მოსმით გამოყარეს ბრძოლების მონაწილენი. მათთვის კანონით გათვალისწინებული კომპენსაციებიც არ მიუციათ. არ შეუთავაზებიათ სხვა სამუშაო ადგილებიც. ამის შემდეგ გამოდიან მთავრობის წარმომადგენლები და აცხადებენ, რომ აღარ უნდა არსებობდნენ პრივილეგირებული, სახელმწიფოს ხარჯზე მცხოვრები პენსიონერები. ის, რასაც ხელისუფლება თანხების მომატებას უწოდებს, ბლეფია. ეს თანხები კარგად რომ დავითვალოთ, გაცილებით ნაკლებია იმაზე, რასაც შეღავათების არსებობის პირობებში ვიღებდით“.

### ვინ არის პრივილეგირებული?

**ჩვენს გაზეთს ვეტერანთა ერთმა ჯგუფმა მოაწოდა უმაღლესი სახელისუფლებო პირების კომპენსაციის ოდენობის ოფიციალური მონაცემები კატეგორიების მიხედვით. საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების ყოფილი წევრებისათვის გამოყოფილია 1200-1200 ლარი.** პარლამენტის ყოფილი წევრი კომპენსაციის სახით ღებულობს 560 ლარს, პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნილნი 375 ლარს ღებულობენ, საერთო სასამართლოების ყოფილი მოსამართლეების, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის კომპენსაციის სახით გასაცემი თანხა 360-360 ლარს შეადგენს სამხედრო, შსს, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან თადარიგში გასულნი 150-150 ლარს იღებენ.

მთავრობამ საერთოდ დაივიწყა ვეტერანები, ომის მონაწილეები, ინვალიდები, ლტოლვილები. ცოცხლებს კი არა, გარდაცვლილთა ოჯახებსაც შეუმცირა კომპენსაციები. ომისა და და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახებს მხოლოდ 45 ლარი გამოუყვეს ბიუჯეტიდან, მაშინ როდესაც ყოფილი (გარდაცვლილი) უმაღლესი თანამდებობის პირთა ოჯახებისათვის კომპენსაცია 560 ლარს შეადგენს, – აცხადებენ აღშფოთებული ვეტერანები.

ხელისუფლებამ არჩევნების წინ გაიხსენა პროფესორ-მასწავლებლები. არჩევნების თარიღის დანიშვნამდე მათი საკომპენსაციო თანხა 96 ლარს შეადგენდა. ცოტა ხნის წინათ სააკაშვილმა ბრძანება გასცა და მათთვის 1000-1600 ლარი გაიმეტა. ეკონომისტების ვარაუდით, ამგვარი ხელგაშლილობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. უბრალოდ, ბიუჯეტი ვერ გაუძლებს.

### რამდენი წლის ბიუჯეტი დაიხარჯება დროებით წახალისებებში?

**ექსპერტთა მოსაზრებით, პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მიერ წინასაარჩევნოდ ნაწყალობევი და დაპირებული სპონტანურად, არჩევნების წინ გამოიმეტეს მოსახლეობისათვის, რადგანაც საბიუჯეტო გასავლებში ის გაწერილი არ არის.**

იხ. 4 გვ.



◉ ელექტორატი

# კასპში, გიორგი სააკაძის ძეგლთან

*ხნიერი დედაკაცი, წინდას რომ ქსოვდა, ფანჯარასთან იჯდა. უფლისციხეში ლამაზი რუსი გოგონა ამოვიდა და იმ დედაკაცის გვერდით დაიკავა ადგილი. მანამდე კი ვაგონში ბაზრის მოვაჭრე ქალები შემოვიდნენ, ბანანის ყუთებითა და დიდი, თავწაკრული ვედროებით ხილი ამოიტანეს, სკამებქვეშ შედგეს და თავადაც სკამებზე ჩამოსხდნენ. ქოლგიანი ქალბატონი, ფანჯრიდან ნაწვიმარ პეიზაჟს რომ გასცქეროდა, შინდისიდან მოდიოდა. სულ ეს იყო ჩვენი ღია კუპე. ნიქოზის „ელექტრიჩკა“ უხალისოდ მიუყვებოდა რკინიგზის ლიანდაგს, ვაგონი ირყეოდა, ჭრიალებდა, ღრიჭოებში ქარი უსტვენდა და მგზავრებიც, რომ არ გაყინულიყვნენ, ერთმანეთს ეხუტებოდნენ.*

– რკინიგზის ლიანდაგზე შპალები სანახევროდ აყრილა და ეს გაუბედურებული „ელექტრიჩკაც“ შინდისიდან მოყოლებული გორამდე სულ ასკინკილა მიხტუნაობს, – თქვა ქოლგიანმა ქალბატონმა.

– თუ დეპუტატობის კანდიდატებს ქართლის მოსახლეობისთვის მართლა ცსიკეთე უნდათ, ერთხელ მაინც ამ მატარებლით იმგზავრონ, ნახონ, რომ ყოფაში ჰყავს მშობლიურ მთავრობას თავისი მშობელი ხალხი. – პოლიტიკური დებატები გახსნა ლოყებლაჟღაჟა ბაზრის მოვაჭრე ქალმა, გვერდით მდგარ თავწაკრულ ვედროს ფრთხილად გადასწია ხილაბანდი და იქიდან „ივერიამ“ რომ გამოანათა, თავადაც ღიმილი შეაგება: – ორ ლარზე ნაკლებად არ გაგყიდი, შე დაშაქრულო, შენა!

რუსმა ლამაზმანმა წიგნი დაკეცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კამათში აპირებდა ჩაბმას.

– მე სააკაშვილს ხმას არ მივცემ, გვეყო, რაც მოგვატყუა, – ლოყებლაჟღაჟამ თავის მეგობარ ფაშფაშა ქალზე მიგვანიშნა, – აი, ეს კი ვერა და ვერ დავიყოლიე, წინდაწინ ვიცი, რომ მიღალატებს.

– რა ვქნა, მიყვარს, ეგ დასაწვავი და...

– მეც მიყვარს, – თქვა ქოლგიანმა, რომელიც მასწავლებელი აღმოჩნდა.

– მე კი – არა. – კატეგორიული ტონით განაცხადა რუსმა ლამაზმანმა.

– რატომ? – ჰკითხეს აქეთ-იქიდან. – სილამაზეს უწუნებ თუ რას?

– თავისი სილამაზე სახლში წაიღოს. მე კი სააკაშვილს იმიტომ არ მივცემ ხმას, რომ მას რუსეთი არ უყვარს. რა დაუშავა ჩემმა ქვეყანამ? ნუთუ მართლა ასეთი უმადური და გაუტანელი ხალხი ვართ? ოთხი წელია აქ ვცხოვრობ, უკვე ორ შვილს ვუზრდი საქართველოს. ჩვენს ოჯახს ღარიბი არ ეთქმის, მიწას ვამუშავებთ, მოსავალი მოგვყავს, მეუღლე კალატოზიც არის, შემდუღებელიც, მისი ხელობითაც ვირჩენთ თავს, მაგრამ რუსეთთან იმდენად ცუდი ურთიერთობები ჩამოყალიბდა, იმდენი დაბრკოლება და ისე ძვირია რუსეთში წასვლა, რომ ჩემი მშობლების სანახავად ვოლგაზე ვერ ჩავსულვარ. რად უნდა მივცე ხმა?

– წლეულს ოცი ტონა ხილი მოვიწიე და სად წავიღო, არ ვიცი. ადრე რუსეთისაკენ გზა ხსნილი გვქონდა, ახლა რა ვქნათ? ხმას კი არა, მეტი რა უნდა! – ხმა ამოიღო სხვა მოვაჭრე ქალმა.

მე კასპში მივდიოდი. პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი გიორგი სააკაძის ძეგლთან ქალაქის საზოგადოებრიობას უნდა შეხვედროდა. ეს რომ ჩვენს კუპეში გაიგეს, საუბარი კიდევ უფრო გამოცოცხლდა.

– ძალიან მწყინს, რომ „იმედი“ კიდევ არ ჩართეს, – ჩაილაპარაკა ხნიერმა დედაკაცმა, წინდას რომ ქსოვდა.

– რაც უნდა ჩართონ და რაც უნდათ, გამორთონ, ჩვენ საპალნეს სხვა არავინ ზიდავს.

– გაუჭირდა და ახლა „ჩემო ძვირფასო“ გავხდი, ვითომ დაგვავიწყდა, წინათ რასაც გვეძახდა.

ამასობაში კასპიც გამოჩნდა და ჩასასვლელად გავემზადე.

– მასწავლებლისთვის ხელფასების მომატებისთვის მადლობა გადაეცით, – მთხოვა ქოლგიანმა ქალბატონმა.

– ჩვენგან კი უთხარით, რომ თბილისის ვაგზლის მოვაჭრე ქალები ნაწყენი ვართ შენზე და არჩევნებზე ჩვენი იმედი ნუ გექნება-თქო.

– ნურც ჩვენი ოჯახის, – დამაბარა რუსმა გოგონამ.

– პატარკაციშვილი მომიკითხოს, – გზაში წამომაწია, წინდას რომ ქსოვდა, იმან.

ჩაველი კასპში, პერონი გადავკვეთე და გიორგი სააკაძის ძეგლიც იქვეა.



იხ. 4 გვ.

# ადუღებული დრო •

**სააკაშვილი და მისი გუნდი ხედავს, რომ მათი დღეები დათვლილია. ისინი არარეალურ და შეუსრულებად დაპირებებს იმ მიზნით იძლევიან, რომ ხელისუფლებიდან მათი გაქრობის შემდეგ ახალმოსულთ ხელთ შერჩეთ გამოცარიელებული ბიუჯეტი**



**◎ არჩევნები, არჩევნები...**

# შეუსრულებელი დაპირებები და ვალებში ჩაფლული ხელისუფლება

(მესამე გვერდიდან)

**ლერი ორკოდაშვილი: (ეკონომისტი, დამოუკიდებელი ექსპერტი):** „თანხების მომატებაზე პრეზიდენტის დაპირებები არარეალურია, მისი აღსრულებისათვის საჭიროა ფუნდამენტური საბიუჯეტო ცვლილებები. მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს სახელისუფლებო, საპარლამენტო ხელფასები, სხვადასხვა საზღვარგარეთულ ვოიაჟზე, გასართობ ღონისძიებებზე დასახარჯი თანხები. სწორედ იმის გამო, რომ ხელისუფლებამ მადა ვერ დაიკმაყოფილა (არადა მნიშვნელოვნად შემცირდა შემოსავლები საბაჟოდან, საგადასახადოდან, უცხოური ინვესტიციებიდან, ქონების გაყიდვიდან), რასაც მოჰყვა ფასების ზრდა ტრანსპორტზე, კომუნალურ მომსახურებაზე (საფლავების გაყიდვის იდეაც კი შემოგვიგდესძ და სხვ. მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ხაზინის გაფლანგვას ჩვეული ხელისუფლება ამ სენს ვერ გადაეჩვევა, თუ ის იქიდან არ მოაშორეს.

პოლიტიკოსები, ეკონომისტები პასუხს ეძებენ კითხვაზე: რა მიზანს ემსახურება გურგენიძის გაპრემიერება? როდესაც საპარლამენტო მოსმენაზე მას პარლამენტარმა ზურაბ ტყემალაძემ კითხვა დაუსვა, სად არის თქვენი სამოქმედო გეგმაო, პრემიერ-მინისტრი არ დაიბნა – ყველაფერი სამუშაო პროცესში შეიქმნებაო. გამოდის რომ მთავრობამ ძველი გეგმით უნდა იხელმძღვანელოს, მაშ, რატომ მოხსნეს ნოღაიდელი?“

ანალიტიკოსების გაანგარიშებით წახალისებებზე, თუნდაც დროებითზე, ბიუჯეტიდან გასაცემი თანხები მალე ამოიწურება. თუ სააკაშვილმა გაიმარჯვა, მაშინ მორიგი სახალხო მღელვარების თავიდან ასაცილებლად რაღაც ვადით მაინც უნდა გააგრძელოს დაპირებული სუბსიდიების გაცემა. მდგომარეობის შესანარჩუნებლად მას არასტაბილური საშინაო მდგომარეობის გამო დასჭირდება ლარის ახალი კუპიურების მოჭრა, რაც, სპეციალისტთა გაანგარიშებით, გარდაუვალს გახდის ინფლაციას. საგარეო ვალების აღების იმედი ქვეყანას აღარ უნდა ჰქონდეს, რადგანაც სახელმწიფო ისედაც ვალების ჭაობშია ჩაფლული.

### „ეკონომიკური ზრდა“ და მილიარდობით საშინაო და საგარეო ვალები

**ლერი ორკოდაშვილი: „ბიუჯეტის მღრღნელი ხელისუფლება, მიუხედავად ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, ფუფუნებაში ცხოვრებას ვერ ელევა. ცხოვრების ჩვეული რიტმის შესანარჩუნებლად საჭიროა შემოსავლების ახალი წყარო, რომელიც თითქმის ამოიწურა (რაც გასაყიდი იყო, გაიყიდაძ.** ხელისუფლების უმაღლესმა ეშელონებმა თვალი საგარეო ვალებს დაადგეს. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საგარეო ვალი 2007 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით 1.790 000 000 აშშ დოლარს შეადგენს (მას შემდეგ სტატისტიკური მონაცემები აღარ გამოქვეყნებულაძ.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ვალის მატება 22 მლნ. 292 ათას დოლარს შეადგენს. საქართველოს 16 სახელმწიფოს ვალი აქვს. მათ შორის ყველაზე დიდი მევალეა გერმანია – 165 მლნ. 848 ათასი დოლარი. ოდნავ ნაკლები – 126 მლნ. 554 ათასი დოლარი ვალი რუსეთისა გვაქვს. შემდეგ მოდიან თურქეთი – 48 მლნ, იაპონია – 47 მლნ, აშშ – 41 მლნ, სომხეთი – 17,5 მლნ, აზერბაიჯანი და ქუვეითი – 14,5-14,5 მლნ. დოლარი და ა.შ. ცხადია, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შედეგად, ინვესტიციების შემოდინების შეჩერების, ეკონომიკური სტაგნაციისა და ა.შ. გამო საგარეო ვალები კიდევ უფრო გაიზრდებოდა. ორმხრივი კრედიტორი სახელმწიფოების ვალის (1 მილიარდ 790 მლნ-ისძ გარდა ჩვენს ქვეყანას უზარმაზარი ვალები აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების (მლრდ 243 მლნ დოლარიძ. ვალები გვაქვს – მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის – 873, 5 მლნ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის – 250 მლნ, ევროგაერთიანების – 83 მლნ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის – 25,5 მლნ. მსოფლიოს მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის – 12 მლნ დოლარი და ა.შ.

2007 წლის 31 ოქტომბრისათვის ქვეყნის ვალებს დაემატა ნაშთი (საპროცენტო განაკვეთიძ, რომელიც 15 მლნ დოლარს შეადგენს. ეს პროცენტები სწორედ იმ სესხების მონაყოლია, რომელთაც შესახებაც დღევანდელი ხელისუფლება ამაყად გვიცხადებდა, რომ საქართველოს, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილურ ქვეყანას უცხოელი პარტნიორები და საერთაშორისო ორგანიზაციები ენდობიან და უყოყმანოდ აძლევენ გრძელვადიან სესხებს. დღევანდელი ჩვენი მთავრობის შემყურე და რეალობიდან გამომდინარე, ვალებიც და პროცენტებიც ჩვენმა შვილებმაც კი უნდა იხადონ.

სიმართლეს არ შეესაბამება მთავრობის მტკიცება ეკონომიკის 14 პროცენტით ზრდის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ეს სამომხმარებლო კალათას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უნდა დასტყობოდა: დაეტყო კიდეც – მნიშვნელოვნად გაძვირდა პირველადი მოხმარების, აუცილებელი პროდუქტი. მათზე ფასების ზრდამ სხვა პროდუქციისა და საგნების გაძვირებაც გამოიწვია.

### მზაკვრული ჩანაფიქრი

**ეკონომისტები და პოლიტიკოსები გაოცებას გამოთქვამენ პრეზიდენტობის კანდიდატის სააკაშვილის ყოვლად გაუნგარიშებელი „მოწყალებების“ გამო და აცხადებენ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს დიდი სურვილი აქვს შეინარჩუნოს სავარძელი და აქედან გამომდინარე დიდება, პატივი, გავლენა, რისთვისაც ხელმეორედ მიდის ახალ ბლეფზე.**

არსებობს სხვა მოსაზრებაც: ექსპერტების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ პრეზიდენტობის მსურველმა კარგად იცის, რომ მის მიერ გაკეთებული დანამატები, შეღავათები შეუსრულებადია, მაგრამ იგი თავისი გუნდის მარწუხებშია მოქცეული. გუნდის ლიდერები კი აიძულებენ მას წავიდეს აშკარა ტყუილზე, რადგანაც სააკაშვილის დამარცხების შემთხვევაში მათი განკითხვის დღეები დადგება.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს კიდევ ერთი მოსაზრებაც, რომელსაც ძირითადად თეორეტიკოსები ემხრობიან. სააკაშვილი და მისი გუნდი ხედავს, რომ მათი დღეები დათვლილია. ისინი არარეალურ და შეუსრულებად დაპირებებს იმ მიზნით იძლევიან, რომ ხელისუფლებიდან მათი გაქრობის შემდეგ ახალმოსულთ ხელთ შერჩეთ გამოცარიელებული ბიუჯეტი. ამ დროს ახალი ხელისუფლება იძულებული გახდება თვითონაც და მოსახლეობასაც ქამრების მოჭერა ურჩიოს და ნაციონალების ცრუ დაპირებები შეაჩეროს, გადაავადოს. ამას აუცილებლად მოჰყვება მოსახლეობის უკმაყოფილება. სწორედ ამ მომენტში წამოჰყოფენ თავს გადარჩეულები და უკვე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისათვის დაიწყებენ ბრძოლას.

**ზაზა ბილიხოძე**

**◎ ელექტორატი**

# კასპში, გიორგი სააკაძის ძეგლთან

(მესამე გვერდიდან)

ხალხი უკვე გროვდებოდა. ყვითელი „ბოგდანებით“ ამომრჩევლები ხან საიდან მოჰყავდა, ხან – საიდან. „ბოგდანების“ დანახვაზე გულმა რეჩხი მიყო: გორელებისთვის ნაჩუქარი ის ავტობუსები ხომ არ არის, 7 ნოემბერს თბილისში განსაკუთრებულ დავალებებს რომ ასრულებდნენ-მეთქი? ბოლო რეისებით მოიყვანეს სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, პენსიონერები. ამასობაში მოედანზე მანქანების კოლონა გამოჩნდა, ერთ-ერთმა მანქანამ ზედ გიორგი სააკაძის ძეგლთან დაამუხრუჭა და იქიდან პრეზიდენტობის კანდიდატი გადმოვიდა.

ალტაცების შეძახილებმაც არ დააგვიანა.

– მი-შა! მი-შა! მი-შა!

შევეცდები მიტინგის მსვლელობა, ანუ პრეზიდენტობის კანდიდატთან შეხვედრა ადგილობრივი პოზიციისა და ოპოზიციის თვალით წარმოგიდგინოთ.

**ხათუნა თათანაშვილი, გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი:** აშკარად ჩანდა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატთან შეხვედრა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული. ხალხი სოფლებიდან ავტობუსებით ჩამოიყვანეს, მათ შორის უმრავლესობას სკოლის მოსწავლეები შეადგენდნენ, რომელთაც არანაირი კავშირი არა აქვთ არჩევნებთან. პრეზიდენტობის კანდიდატმა ხუთწუთიანი სიტყვა თქვა, ილაპარაკა ყველაფერზე და საბოლოო ჯამში – არაფერზე. მოულოდნელად ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. ხალხი სახტად დარჩა. საშინელ მდგომარეობაშია კასპი, ცალკე ცემენტის მტვერი გვახრჩობს, ცალკე – უწყლობა. სხვა გაჭირვებაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ. ეტყობა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას აარიდა თავი და გაცლა ამჯობინა.

მიტინგი სულ 5-7 წუთს გაგრძელდა და 300-მდე კაცი დაესწრო.

**ბესო სასიკელაშვილი, ახალი მემარჯვენეების კასპის ორგანიზაციის თავმჯდომარე:** დავიწყოთ იმით, რომ შეხვედრაზე 250-მდე კაცი მივიდა, უფრო სწორად, მოიყვანეს, თორემ თავისით რამდენს უნდოდა მოსვლა, არავინ იცის. დედაქალაქიდან ავტობუსით ჩამოვიდნენ ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური აპარატის მუშაკები, ამას დაუმატეთ ადგილობრივი გამგეობა, საკრებულო, სახელმწიფო მოხელეები, მოსწავლეები, რომლებიც წამდაუწუმ „მიშა, მიშას!“ გაიძახოდნენ, გამვლელ-გამომვლელები და აჰა, მთელი მიტინგიც ეგ იყო. ათიოდე წუთში კიდეც დაიწყეს და კიდევაც დაამთავრეს. პრეზიდენტობის კანდიდატი მანქანაში ჩაჯდა და სამთავისში, არქეოლოგიური გათხრების მოსანახულებლად წავიდა.

**მანუჩარ ბერიანიძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კასპის საორგანიზაციო მდივანი:** ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრამ კასპელ ამომრჩევლებთან მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით, საქმიან ვითარებაში ჩაიარა. მიტინგზე მოსული 4000 კაცი მთელი ოცდაათი წუთის მანძილზე ყურადღებით უსმენდა პრეზიდენტობის კანდიდატს. მან თავისი სიტყვა მიუძღვნა იმ სოციალური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას, მისი პრეზიდენტობის მეორე ვადაში რომ უნდა დასრულდეს – ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სიღატაკის აღმოფხვრა, პენსიების განუხრელი ზრდა, ბიზნესგეგმებისთვის იაფი კრედიტების გამოყოფა და სხვა. ჩვენი ქვეყანა თავისი განვითარების ახალ ფაზაში შედის და ყველას ვალია ხელიხელჩაკიდებულებმა ვიშრომოთ მისი უკეთესი მომავლისთვის.

– კასპის ცემენტის მტვერზე, ქალაქს რომ ახრჩობს, არაფერი უთქვამს?

– არა, რადგან მტვერდამჭერი დანადგარების დამონტაჟება უკვე იწყება.

– ქალაქი რომ უწყლობით იხრჩობა, არც ამაზე უთქვამს?

– არა, რადგან ეს საქმე უკვე დაიძრა მკვდარი წერტილიდან.

– ქალაქისა და სოფლების გაზიფიკაცია ნელა რომ მიდის, არც ამაზე უთქვამს რამე?

– ვერ გეტყვით. შეიძლება კიდეც თქვა, მაგრამ მე სხვა საქმეებითაც ვიყავი დაკავებული და გამოსვლის ბოლო ნაწილისთვის ყური არ დამიგდია.

**იმ დღეს კასპიდან გვიან წამოვედი. გზაში გორისკენ მიმავალ ჩვენს ნაცნობ „ბოგდანებს“ წამოვეწიე, სოფლებიდან მიტინგის მონაწილეების ჩამოყვანაში კასპელებს რომ ეხმარებოდნენ. ჯერაც არ ჩამოეხსნათ საქარე მინაზე მიკრული ფირნიშები „წინარეხი“, „ზემო ხანდაკი“, „ქვემო ჭალა“, „დოესი“ და სხვ. არადა, ამ ავტობუსებს თვეზე მეტია გორის რაიონის სოფლებში – შინდისში, წითელუბანში, შავშვებში, მერეთში, მეჯვრისხევში ელოდებიან, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ხალხისთვის არა სცალიათ.**

**გურამ ვაშაკიძე**

№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

● „იმედი“ დღეს ხალხის იმედია, ბატონო პრემიერო, კარგად, გაიგეთ ეს. ნაცმოძრაობამ ხალხს სხვა ყველაფერთან ერთად მისი წართმევაც დაუპირა. ეს კი ის ჟანგბადია, რითაც ერი სუნთქავს, არსებობს და მომავლის გზას იკაფავს



◎ „მჯობნის მჯობნიც გამოჩნდა“!!!

# არადა, როგორ მიყვარდა ჩემი მიუნჰაუზენი!

## ო, რა სწრაფად ივსება ნაცმოძრაობის გუდა

**სიყმაწვილისას ძალიან მიყვარდა ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავლების კითხვა. ის კი არა, ახლაც, სიჭარმაგეშიც გადავფურცლავ ხოლმე, გულს ვიხალისებ მისი უწყინარი, სახალისო ლაზღანდარობით. ის დალოცვილი ისე ლამაზად ყვება ტყუილებს, მინდა დავიჯერო და სულში ჩავისვა. ისე კი, თუ მას ოდესმე ვინმე დამიჩაგრავდა მეზღაპრეობაში, ნამდვილად არ მეგონა. ამაზე მერე...**

მაშინ ერთი ჩემი ახლობელი, სოხუმიდან დევნილი შემხვდა. თავის დროზე აფხაზეთის მთავრობაში მაღალი თანამდებობა ეკავა. მინისტრი არ იყო, მაგრამ საქმით ლამის მინისტრობდა, ღვაწლით ამაგიანი და დაფასებული.

— გვეშველა მგონია, მიშა მომავალი წლის ზამთარს აფხაზეთში, ჩემს უპატრონოდ მიტოვებულ სახლ-კარში გამატარებინებსო, — მომახარა. ისე შევხედე, თვითონაც შეცბა. არა, არ გავგიჟებულვარ, მაგრამ ეს ისეთი ტყუილია, მინდა დავიჯეროო, — კვნესით ამოთქვა.

— შე დალოცვილო, ამას ოთხი წლის წინათაც გპირდებოდა... აგორა, აგორა ეგ გუდა და ახლა მაინც ხომ ხვდები არაფრის დამბრუნებელია ეგ. მხოლოდ ოთხი რუსის ჯარისკაცის შეშინება სცადა, მართლა მაგრად კი შეუტია, მაგრამ... ისე, იცოცხლე, გამბედავი და ჯიქურია, მაგრამ სხვას ვერაფერს აკლებს.

—კარგი, კარგი, კი ვხედავ მეც, კარგად მესმის, მაგრამ...

— აბა რა მაგრამ?! შენ, იმხელა თანამდებობაზე ნამყოფი, არცთუ ურიგო გამოცდილებისა და ცოდნის პატრონი ამას რომ ამბობ, ხომ შეიძლება უბრალო ხალხს ეს მართლაც სიმართლედ მოეჩვენოს?!

— არა, ნამდვილად არ სჯერათ, მაგრამ რა ქნან, წყალწაღებულნი ხავსს ეჭიდებიან. ისე, აქამდე ჩირადაც არ გვაგდებდნენ ლტოლვილებს, რაღაც სამოწყალო 11 ლარს უმადურად გადმოგვიგდებდნენ, ამ ფულს შევარდნაძის დროსაც კი არ ჰქონდა ფასი. ახლა ყველაფერი გაძვირდა, ცეცხლი უკიდია სურსათს, ლამის პურის ყიდვა გაგვჭირვებია. აი, საცხოვრისებს რომ გადაგვიხურავენ, იქნებ ფანჯრებიც ჩაგვისვან...

შემეცოდა, მოვეფერე, თუმცა რას ვერჩოდი, მეც ხომ დავუჯერე თავის დროზე სააკაშვილს, მეგონა ერის ტკივილით უძგერდა გული და შეძლებისდაგვარად წავეშველე ჯერ შევარდნაძის დამხობაში, მერე არჩევნებში გამარჯვებაში. აი, 7 ნოემბერს ზურგზე ბოლი რომ გვადინა, მეორე დღეს ლამის სახეშეშლილმა რომ გვახარა, ხედავთ, გადავწყვიტე გადავდგე, 1 წლით ვკვეცავ ჩემს პრეზიდენტობას, მეორედ გაპრეზიდენტებისას ერთი წელი და კიდევ მეტი მაკლდებაო, მე კი არა, ყველამ დაიჯერა. თურმე თვალებში გვაყრის ნაცარს. არადა, კონსტიტუციაში სიტყვა-სიტყვით წერებულა, თუკი პრეზიდენტად ისევ აირჩევენ, ათი თვით კი არა, კიდევ მეტითაც შეიძლება გაიხანგრძლივოს ტახტიო.

პენსიებს გიმატებთო, აგაშენებთ, აგაყვავებთ, სახლებიდან აღარ გამოგყრით, პირიქით, დაგასახლებთო. აგერ რუსთაველებს ყველაფერი ისე გაუყიდეს, არც კი უკითხავთ, ხალხი რა აზრისაა, რის იმედად რჩება, რას გამოელის და რამდენად დაზარალდა ხელისუფლების ამგვარი გაწუსჯელი ქმედებებისგან. რაო, ეს ფაბრიკა-ქარხნები, სხვადასხვა დამხმარე თუ საზოგადო დაწესებულების შენობა-ნაგებობები ბენდუქიძის ბაბუამ აგვიშენა თუ არველაძის მამამ?!

იქ ხომ ჩვენი თაობის კაცთა ნაამაგარია, ჩვენი სისხლითა და ოფლით მონაპოვარი. რუსთავი საქართველოსთვის XX საუკუნის უდიდესი მონაპოვარია, თავისი ფაბრიკა-ქარხნებით, ასე რომ გაგვიჩანაგეს. აბა გულზე ხელი დაიდონ ამ ჩვენმა მთავრობის კაცებმა და თქვან, ზეობის რამდენი წელი დასჭირდებოდა ნაცმოძრაობას, რომ ამხელა ქალაქის დაარსება შეძლებოდა?!

შარშან ნოემბერში მეტალურგებთან სტუმრობისას პრეზიდენტმა ამაყად განაცხადა, მომავალი წლისთვის ქარხანაში 3 ათასი კაცი იმუშავებს, ხოლო 2008 წლისათვის — 8 ათასიო. არ გეტკინოთ არაფერი...

ეს ახალი პრემიერი, ბატონი გურგენიძე, რომ შეხედავ, გესიამოვნება, ნამდვილი ქართველი ვაჟკაციაო, იტყვი, მაგრამ... აგერ ეგეთი რამეები დაახეთქა, მტრისას ტელევიზია „იმედი“ ლამის ერთ მუჭში ჩაიკუჭა და ჯიბეში ჩაიდო!

„იმედი“ დღეს ხალხის იმედია, ბატონო პრემიერო, კარგად, გაიგეთ ეს. ნაცმოძრაობამ ხალხს სხვა ყველაფერთან ერთად მისი წართმევაც დაუპირა. ეს კი ის ჟანგბადია, რითაც ერი სუნთქავს, არსებობს და მომავლის გზას იკაფავს. დღეს ჩვენი ერი მხოლოდ ღვთის განგებით სულდგმულობს და რაც მალე გავუსწორებთ თვალს ამ საბედისწერო რეალობას, მით უკეთესია ყველასთვის, განსაკუთრებით კი დღევანდელი მთავრობისთვის.

ჰო, ამჯერად ნაცმოძრაობის ტყუილებზე ვყვებოდი, თუმცა რომელი ერთი ჩამოვთვალო, ისეთი გუდა აქვთ, ცოცხალი რომ იყოს, ბარონ მიუნჰაუზენსაც შეშურდებოდა! ერთად რომ აიკინძოს, კაი სქელტანიანი წიგნი გამოვა, თანაც ისეთი ზღაპრების, მის ალმატებულება ბარონს ჯიბეში ჩაისვამს.

**არადა, როგორ მიყვარდა ჩემი მიუნჰაუზენი, მისი ბადალი ქვეყნად თუ გამოჩნდებოდა, არ მეგონა...**

**გივი ჯახუა**

№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

◎ აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი



# სერგეი შამბა: გალის რაიონში ძალების გაძლიერებით შეთანხმება არ დაგვირღვევია

*აფხაზეთში სამხედრო მზადყოფნის გამოცხადების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე, სოხუმის მიერ გალის რაიონში დამატებითი ძალების შეყვანის მიზეზებსა და საქართველოში 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე აფხაზ პოლიტიკოსთა ფავორიტების თემაზე, „ინტერპრესნიუსი“ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას ესაუბრა.*

**— რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ინფორმაცია, რომ აფხაზური მხარე მდინარე ენგურის გასწვრივ სამხედრო ძალის კონცენტრირებას ახდენს და თუ ასეა, რას უკავშირდება ეს ღონისძიებები?**

— ჩვენი ძალები გალის რაიონში არიან, მაგრამ იქ ძალების გაძლიერებით შეთანხმება არ დაგვირღვევია. ჩვენ გვაქვს უფლება უსაფრთხოების ზონაში გვყავდეს 600-მდე შეიარაღებული სამართალდამცავი, ასე, რომ იქ ამ რაოდენობაზე მეტი კონტინგენტი არ შეგვიყვანია. ქართული მხარისგან განსხვავებით, ჩვენ შეთანხმებას არ ვარღვევთ. ის, რომ ქართული მხარე შეთანხმებას არღვევს, გაეროს წარმომადგენლებმა ჟენევის შეხვედრაზე დაადასტურეს. მათი ინფორმაციით, უსაფრთხოების ზონაში ქართულ მხარეს იმაზე ორჯერ მეტი ძალები ჰყავს, ვიდრე შეთანხმება ითვალისწინებს, ასე რომ, ამაზე ჩვენ უნდა ვტეხდეთ განგაშს და არა თქვენ.

მდინარის გასწვრივ რეჟიმი ხან მკაცრდება, ხანაც ჩვეულებრივია, მაგრამ თქვენთან არჩევნების პერიოდია და ჩვენც შესაძლო პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გალის რაიონში მართლაც შევიყვანეთ დამატებითი ძალები. როგორც ხედავთ, ვითვალისწინებთ ქართველი პოლიტიკოსების განცხადებებს აფხაზეთში ომის დაწყების შესახებ და შესაბამისად ვრეაგირებთ.

**— მართალია, რომ თქვენი შეიარაღებული ძალები იანვრის ბოლომდე საბრძოლო მზადყოფნაში იქნება? ამის შესახებ ინფორმაცია თქვენებმა გაავრცელეს და შემდეგ უარყვეს.**

— ჩვენ ჯერ უსაფრთხოების გასაძლიერებლად განსაკუთრებული ზომები არ მიგვიღია. სიტუაციის შესაბამისად ვიმოქმედებთ, ასე რომ, ჩვენი ძალები საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმზე გადასულები არ არიან.

**— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თქვენს მიერ გალის რაიონში დამატებითი ძალების შეყვანა და ოჩამჩირეში მძიმე ტექნიკის კონცენტრირება კოსოვოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება.**

— უდავოა, რომ ასეც შეიძლება იყოს. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი პოლიტიკოსები აკეთებენ განცხადებას აფხაზეთში ომის დაწყების შესახებ, ჩვენი რეაქცია გასაკვირი არ უნდა იყოს. ჩვენ იმ ყველაფერზე, რაზეც თბილისში ღიად საუბრობენ, სწორად ვრეაგირებთ და შესაბამისი ზომების მისაღებად მზად ვართ.

რაც შეეხება კოსოვოს, ნატომ უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში სამხედრო კონფლიქტს არ დაუშვებს და ამისთვის ნატო კოსოვოში დამატებითი ძალების შეყვანას გეგმავს.

**— ქართულ გაზეთში ვნახე თქვენი განცხადება, რომ აფხაზური მხარე კოდორის ხეობაში სოხუმის კონტროლის დამყარებას მინიმალური დანაკარგებით გეგმავს, ეს მართლა ასეა?**

— მე ვთქვი, რომ კოდორის ხეობაში არსებული ვითარება ჩვენ დღის წესრიგიდან არ მოგვიხსნია. ჩვენ კოდორის ხეობის ზემო ნაწილში ძალის გამოყენებაზე თავიდანვე ვთქვით უარი. გუშინ საქართველოში ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრაზე აღვნიშნე, რომ კოდორის საკითხმა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები ჩიხში შეიყვანა და აუცილებელია ამ ჩიხიდან გამოსვლა. ასე უსასრულოდ ჩიხში ყოფნაც ხომ შეუძლებელია. კოდორის საკითხის ჩიხიდან გამოსაყვანად ქართულ მხარეს და გაეროს წარვუდგინეთ ჩვენი წინადადებები, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართულ მხარეს არავითარი წინადადებები არ აქვს და ამ საკითხის განხილვა საერთოდ არ სურს. ზემო აფხაზეთი ჩვენი ტერიტორიაა და ადრე თუ გვიან იქ ჩვენს კონტროლს აღვადგენთ.

**— თუ საიდუმლო არ არის, იქნებ თქვენი წინადადებების ძირითადი პოსტულატები გაგვანდოთ...**

— უნდა დავსხდეთ და კონკრეტულად განვიხილოთ ხეობიდან ქართული სამხედრო შენაერთების გაყვანის საკითხი. ჩვენი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ხეობაში წესრიგს ადგილობრივები უნდა იცავდნენ. ქართულ მხარეს ვთავაზობთ ადგილობრივი სამართალდამცავები გაეროს პოლიციელებმა მოამზადონ. ჩვენ მზად ვართ კონფლიქტის მოგვარებამდე ხეობაში ჩვენი კონტროლის დამყარებას არ შევეცადოთ.

**— გალის რაიონის მსგავსად, ხომ არ ვარაუდობთ ზემო აფხაზეთის მოსახლეობისთვისაც აფხაზეთის მოქალაქეობის შეთავაზებას?**

— ჩვენ გალის რაიონში აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება თავს არავისთვის მოგვიხვევია, თავად რაიონის მოსახლეობა ითხოვს მათთვის აფხაზური პასპორტების დარიგებას. სხვათა შორის, ამ თემას სერიოზულად განვიხილავთ. ვიცით, რომ გალის რაიონის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აქვს მიღებული საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამაზე თვალი უნდა დავხუჭოთ და აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქის დამადასტურებელი პასპორტები ყველა მსურველს მივცეთ. რაც შეეხება კოდორის ხეობის ზემო ნაწილის მოსახლეობისათვის აფხაზეთის მოქალაქეობის შეთავაზებას, ამას ჯერ ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ თუ ამგვარი სურვილით მოგვმართავენ, რა თქმა უნდა, მათ თხოვნას განვიხილავთ.

**— რამდენადაც ვიცი “კანონი აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ“ არ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქისათვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭებას. გალის მოსახლეობის ინტერესის გასათვალისწინებლად კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას გეგმავთ?**

— არანაირი ცვლილებების შეტანაზე არ არის საუბარი. კანონმდებლობის შეცვლას ნამდვილად არ ვაპირებთ. ჩვენ უბრალოდ გალის რაიონის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე თვალს დავხუჭავთ, ეს არის და ეს.

**— მოგეხსენებათ ჩვენთან საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელებაა. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან მიმდინარე პროცესებს თვალს ადევნებთ. თუ საიდუმლო არ არის, პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის უპირატესობას ვის ანიჭებთ?**

— ამ კითხვას უკომენტაროდ დავტოვებ. თქვენი არჩევნები თქვენივე საშინაო საქმეა, ასე, რომ...

**— საერთოდ, არჩევნებს გარკვეულ იმედებს უკავშირებენ, თქვენ რას ელით საქართველოში 5 იანვარს დაგეგმილი არჩევნებიდან?**

— თქვენს არჩევნებს არავითარ იმედებს არ ვუკავშირებთ. ჩვენ ვხედავთ, რომ უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ არ იცვლება. იცვლებოდა რეჟიმები, მაგრამ პოლიტიკა არ იცვლებოდა. მენშევიკებიდან დაწყებული, ბოლშევიკ-კომუნისტებით გაგრძელებული და ე. წ. ქართველი დემოკრატების ჩათვლით, აფხაზებთან ურთიერთობების გარკვევას ყველა ძალის გამოყენებით ცდილობდა.

**კობა ბენდელიანი**

**„ინტერპრესნიუსი“**

# შინ და გარეთ

გასაოცარი იყო ბუშის რეაქცია სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციასთან დაკავშირებით. ამერიკის საზოგადოებამ მიიღო არა პრეზიდენტური, არამედ ბუშური პასუხი – ირანმა უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ არ ამზადებს ბირთვულ ბომბს. თუ არ წარმოადგენს, საჭირო იქნება ეკონომიკური სანქციების შემოღება...

◎ კონტაქტები

## ფარმინსპექციების საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო სემინარში „ფარმაცევტულ ინსპექციათა თანამშრომლობის სქემა“ (PIC/S), რომელიც გაიმართა ამას წინათ სინგაპურში, პირველად ამ ორგანიზაციის ისტორიაში დსთ-ს სივრციდან მონაწილეობა მიიღო საქართველოს წარმომადგენელმა. ეს არის თბილისის ფარმაცევტული კომპანიის „CMP“-ს გენერალური დირექტორი, ფარმაცევტული წარმოების საერთაშორისო აუდიტორი გიორგი ანთაძე.




აი, რას მოგვითხრობს ბატონი გიორგი „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტთან საუბარში.

-PIC/S განვითარებულ ქვეყანათა ფარმინსპექციების საკმაოდ დახურული კლუბია. მისი წევრები არიან: ევროკავშირის, კანადის, იაპონიის, ავსტრალიის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და სინგაპურის ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოები. PIC/S-ს წევრები აღიარებენ განვითარებულ ქვეყანათა ორგანოების მიერ ჩატარებულ ფარმსაწარმოთა ინსპექტირების შედეგებს. თუ ჩვენი ქვეყანა მიუერთდება PIC/S-ს, მაშინ საქართველოს წამლების სააგენტოს მიერ ჩატარებული ადგილობრივი ფარმმწარმოებლების ინსპექტირება საკმარისი და მისაღები იქნება იმისათვის, რათა ჩვენი პრეპარატების დოკუმენტაცია წარვადგინოთ სარეგისტრაციოდ იმ ქვეყნებში, რომლებიც გაერთიანებული არიან „ფარმაცევტულ ინსპექციათა თანამშრომლობის სქემაში“.

ეს უეჭველად წინაპირობაა ჩვენში წამლების მწარმოებელთა მიერ განვითარებულ ქვეყანათა ბაზრის ათვისებისა. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის სქემასთან მიერთება საკმაოდ ძნელი ამოცანაა და ითხოვს კარდინალურ რეფორმებს ფარმაცევტული დარგის რეგულაციის სფეროში. ჩვენი ქვეყნის წამლების ეროვნულმა სააგენტომ უნდა იხელმძღვანელოს წესებით, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციის PIC/S-ს მიერ.

თუმცა საქართველოში ფარმაცევტული დარგი ჯერ კიდევ შორსაა საერთაშორისო სტანდარტებისაგან, პირველი ნაბიჯები ჩვენ ახლავე უნდა გადავდგათ. ამაზე იყო საუბარი სინგაპურში PIC/S-ს აღმასრულებელ დირექტორთან ბატონ ჟაკ მორენთან, რომელმაც გამოხატა თავისი ორგანიზაციის მზადყოფნა ყოველმხრივ შეგვიწყოს ხელი, რათა საქართველომ განვლოს გზა PIC/S-ს წევრობამდე და გამოთქვა იმედი, რომ ჩვენი ქვეყანა მიაღწევს წარმატებებს.

შემდეგი საერთაშორისო სემინარის ჩატარება დაგეგმილია 2008 წლის მაისში პოლონეთის ქალაქ კრაკოვში, სადაც, იმედია, ქართული დელეგაცია უფრო მრავალრიცხოვანი იქნება.

**მურად ალაშვილი**

◎ ინფორმაცია

## რამდენი გახარჯა სახელმწიფომ ბიუჯეტიდან?



სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი 2007 წლის იანვარ-ნოემბერში 4 მლრდ. 520 მლნ. ლარს შეადგენს.

როგორც ფინანსთა სამინისტროდან იტყობინებიან, ხარჯის საერთო ოდენობიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო 807 მლნ ლარით დაფინანსდა, საიდანაც სახელმწიფო პენსიებს, სახელმწიფო კომპენსაციებსა და სახელმწიფო აკადემიურ სტიპენდიებს მოხმარდა 441 მლნ. 700 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს – 134 მლნ. 600 ათასი ლარი, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციას – 30 მლნ. 400 ათასი ლარი, სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამას – 51 მლნ. 100 ათასი, სოციალური დახმარებების პროგრამას – 73 მლნ. 800 ათასი ლარი, სხვა ხარჯებს კი – 75 მლნ. 400 ათასი ლარი.

იანვარ-ნოემბერში ენერგეტიკის სამინისტრომ 209 მლნ. 500 ათასი ლარი დახარჯა, საიდანაც ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფისა და ტარიფების შენარჩუნების ღონისძიებებს 100 მლნ. 200 ათასი ლარი, ხოლო სარეაბილიტაციო ღონისძიებებს 67 მლნ. 100 ათასი ლარი მოხმარდა.

საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროს ხარჯმა – 226 მლნ. 600 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის გზების შეკეთებასა და რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 179 მლნ. 600 ათასი ლარი (მათ შორის წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა – 2.7 მლნ. ლარი); აღმოსავლეთ დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალზე – 16 მლნ. 400 ათასი ლარი, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტზე კი – 21 მლნ. 300 ათასი ლარი.

განათლების სფერო მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში 363 მლნ. ლარით დაფინანსდა, საიდანაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე (ვაუჩერიზაციის პროგრამა) – 179 მლნ. 600 ათასი ლარი, სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციაზე – 96 მლნ. 200 ათასი ლარი, სამეცნიერო კვლევების პროგრამაზე – 19 მლნ. 300 ათასი ლარი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელშეწყობის პროგრამაზე – 31 მლნ. 800 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე 36 მლნ. 100 ათასი ლარი დაიხარჯა.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მთლიანი ხარჯები 69 მლნ. 600 ათასი ლარზე დაფიქსირდა. მათ შორის საპრეზიდენტო პროგრამებს – 31 მლნ. 900 ათასი ლარი, სახელოვნებო პროგრამებს – 19 მლნ. 700 ათასი ლარი, კულტურული მემკვიდრეობის პროგრამებს – 7 მლნ. 600 ათასი ლარი მოხმარდა.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს, იგი იანვარ-ნოემბერში 115 მლნ. 100 ათასი ლარით დაფინანსდა, საიდანაც სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფინანსურ უზრუნველყოფასა და მათ რეაბილიტაციაზე – 81 მლნ 100 ათასი ლარი, ხოლო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოზე 7 მლნ. 400 ათასი ლარი დაიხარჯა.

**ინტერპრესნიუსი**

◎ გლობუსი

## ირანის ბირთვული პროგრამიდან

**დეკემბრის დასაწყისი საერთაშორისო ცხოვრების მრავალი საინტერესო და სენსაციური მოვლენით აღინიშნა – უპირველეს ყოვლისა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციით, სადაც ნათქვამია, რომ ირანი 2003 წლიდან აღარ მუშაობს ბირთვულ პროგრამაზე. განცხადება უმალ მოექცა პოლიტიკოსთა ყურადღების ცენტრში და მასზე საუბარი დღემდე არ წყდება.** განცხადებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა პრეზიდენტი ბუში, რომელიც ახლახან ამტკიცებდა, რომ ირანის ბირთვული პროგრამა მესამე მსოფლიო ომის მომასწავებელია, რომ ირანის წინააღმდეგ სასწრაფოდ არის მისაღები ეკონომიკური სანქციები, რომ ირანი დასავლეთმა ეკონომიკურ ბლოკადაში უნდა მოაქციოს და სხვა მრავალი. ადრე, ამერიკულმა გაზეთებმა, კომპეტენტურ წყაროებზე დაყრდნობით, არაერთხელ გამოაქვეყნეს ირანზე საჰაერო თავდასხმის გეგმა.

ირანის წინააღმდეგ აშშ-ს ადმინისტრაციის გამომწვევი, აგრესიული პოლიტიკა, ეკონომიკური სანქციების პირველი ეტაპის შემოღება, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება, ანტირუსულ კამპანიაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს ჩართვა, რუსეთის ირგვლივ ე. წ. დემოკრატიული სარტყელის შექმნა, რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკის წინააღმდეგ ფარული თუ ღია ანტირუსული გეგმების ამოქმედება, ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან ირანის გაგდების მცდელობა (აშშ-ს ქ. ანაპოლისში, ისრაელ-პალესტინის კონფერენციაში 40 ქვეყნის წარმომადგენელი იყო მიწვეული. ერთ-ერთი მთავარი მოქმედი სახელმწიფო, ირანი კი – არა), მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის ახალ სტადიაში გადასვლის მომასწავებელია. **აშშ ვერ ეგუება განსხვავებულ აზრს რუსეთის, ჩინეთის, ირანის მხრიდან. ვაშინგტონის მიზანია აღნიშნული სახელმწიფოების დასუსტება, ირანის რეგიონული ლიდერობისათვის ხელის შეშლა.**

**დასავლური, განსაკუთრებით ამერიკული „დემოკრატიით“ მოხიბლული ქართული პოლიტიკური სპექტრი ხბოს აღფრთოვანებით შესციცინებს ვაშინგტონს, მისი სწამს და სჯერა. ხელისუფლებას რომ სჯეროდეს, ამაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან ის სიკეთეები, რაც მან მოიხვეჭა, სწორედ აშშ-ს ადმინისტრაციის ღვაწლია, მაგრამ ოპოზიციას რომ სჯერა, ესაა გასაკვირი. „დასავლური დემოკრატიის“ ნაყოფია ის აუწყობელ-გაუმართავი ცხოვრება, რაც საქართველოშია, სწორედ ამერიკული მხარდაჭერის შედეგია ის განუკითხაობა, რაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხდება.** აშშ-ს დამოკიდებულება პატარა და მასზე დამოკიდებული ქვეყნების მიმართ სულაც არ არის თანაზრობის, პარტნიორულ ურთიერთობებზე დამყარებული პრინციპების მატარებელი. მისი მიზანია კავკასიაში ფეხის მოკიდება და პოზიციების გამაგრება, როგორც ჩრდილოეთის – რუსეთის, ისე სამხრეთის – ირანის და აღმოსავლეთის, შუა აზიის ქვეყნების მიმართულებით.



**ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, თუ როგორ გამოიყენებს ვაშინგტონი საქართველოს ტერიტორიას და მის სამხედრო აეროდრომებს ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში.** საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა სხვისი მოიმედეობის ნაცვლად საკუთარი ცხოვრების საკუთარი ხელით გამოჭედვა.

**როცა ქვეყანა ბრაისას დონეზე იხილავს შენს საკითხს, ხოლო „ვითარების შესასწავლად“ პოლიტოლოგ სოკორს გიგზავნის, ყველაფერი ნათელია. სინდისისაგან შორს მყოფი სოკორი, ჩვენი შოუბიზნესის წარმომადგენლებისა არ იყოს, იმას უმღერებს, ვისგანაც მეტ ფულს მიიღებს. შედეგი – სოკორი ტელეეკრანიდან დაბეჯითებით უმტკიცებდა ქართულ საზოგადოებას, უფრო სწორად მოსახლეობას (ვინაიდან საზოგადოებამდე ჩამოყალიბებას დიდი დრო სჭირდება), რომ 7 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, ხოლო ტელეკომპანია „იმედი“ და მისი ფარული ხელმძღვანელი პატარკაციშვილი მართავდა ამ პროცესებს.** მოსახლეობამ, სწორედ იმან, ვინც იმ დღეს პარლამენტთან იდგა, სოკორისაგან გაიგო, რომ სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდა. გაიგო და შემდეგ – არავითარი აღელვება გადამთიელის ნაბოდვარის მიმართ. სხვა ქვეყანაში, სხვა საზოგადოების პირობებში უდავოდ მივიღებდით საზოგადოებრივ რისხვას. ალბათ, ოდესმე, თუ გადავრჩით, ჩამოყალიბდება საზოგადოება. მანამდე კი ბრაისები, სოკორები და მათი მსგავსნი ტვინს აუმღვრევენ საქართველოს მოსახლეობას, ისე, როგორც ბუშის ადმინისტრაცია უმღვრევს მთელს მსოფლიოს.

საოცარი ვითარებაა შექმნილი „დემოკრატიულ დასავლეთში“ – თუ თეთრმა სახლმა გადაწყვიტა, რომ თეთრი შავია, მისი ევროპელი სატელიტებიც ასე იტყვიან. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, თუ ირანი არ აწარმოებდა ბირთვულ იარაღს, რატომ გეგმავდა ბუში ირანზე თავდასხმას? ვეჭვობ, რომ სადაზვერვო სამმართველოს მონაცემები, რომელიც ახლახან გახმოვანდა, ბუშისათვის უცნობი იყო. ღმერთმა დაიხსნა მსოფლიო და განსაკუთრებით ჩვენი რეგიონი ამერიკელთა მიერ ირანის წინააღმდეგ გაჩაღებული ომისაგან, თორემ აქაც ისეთი ვითარება იქნებოდა, როგორც ერაყსა და მის ირგვლივ. მკითხველს ახსოვს აშშ-ს ერაყში შეჭრის საბაბი – მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენა.

გასაოცარი იყო ბუშის რეაქცია სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციასთან დაკავშირებით. ამერიკის საზოგადოებამ მიიღო არა პრეზიდენტური, არამედ ბუშური პასუხი – ირანმა უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ არ ამზადებს ბირთვულ ბომბს. თუ არ წარმოადგენს, საჭირო იქნება ეკონომიკური სანქციების შემოღება... ირანი, რომელიც არაერთი წელი ღაღადებს უდაბნოში, რომ მისი ბირთვული

# შინ და გარეთ

საწარმო, რომელსაც შეეძლო წელიწადში 60 ათასი ბალონის გამოშვება და 3-4 მილიონი ლარის წმინდა მოგების მოტანა, ხელისუფლების უგულისყურობის თუ უსულგულობის გამო დაიხურა



ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...

## პრეზიდენტი წავიდა და ქარხანაც დაიხურა

### მიხეილ სააკაშვილი თავის საწინააღმდეგო ქულებს აგროვებს

გუშინ ქუჩაში ნაცნობი მეცნიერი შემხვდა. უხასიათოდ ჩანდა.

— რა დაგემართა? — დავინტერესდი.

— მეც იგივე, რაც ბევრს დაემართა. იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს, სადაც პრეზიდენტიც კი (ახლა უკვე პრეზიდენტობის კანდიდატიძ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იტყუება, კარგ გუნებაზე როგორ დადგები?

— როგორ, მაგ ტყუილების „აბლავაში" შენც მოყევი?

— მოვყევი რომელია, წლობით ნაფიქრალი და თვეობით ფიზიკურად ნამუშევარი ერთბაშად წყალში ჩამეყარა.

— რაზე მელაპარაკები, ვერ მიგიხვდი?

— ეგრეთ წოდებულ ლილოს ქარხანაზე, რომელიც ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომანქანებისათვის მაღალი წნევის ბალონებს უშვებდა.

— უშვებდა და აღარ უშვებს?

— რაღას გაუშვებს, ჩემო კარგო, ამუშავებიდან სულ რამდენიმე კვირაში დაიხურა. ფაფუ... იყო და აღარ არი.

— მერე ამაში ხელისუფლება და პრეზიდენტი რა შუაში არიან?

— სწორედაც რომ არიან. ქარხანა თავად ბატონმა პრეზიდენტმა გახსნა, თან გაგვაფრთხილა, აი, იმ ავტობუსებით რომ ხალხი მოვიყვანე, უკლებლივ უნდა დაასაქმოთო.

— უარი უთხარით?

— არა, მუშახელი გვჭირდებოდა და უარს რატომ ვეტყოდით, მაგრამ ხომ გეუბნებით, ქარხანა მალევე დაიხურა და იმ დასაქმებულებმა ხელფასის აღებაც ვერ მოასწრეს, ისე გააბუნძულეს.

— ჰო, გამახსენდა, ამ ორი დღის წინათ, პრეზიდენტობის კანდიდატს უსაყვედურეს — თქვენ რომ ქარხანაში სამუშაოდ დიდი ზარზეიმით მოგვაწყვეთ, უკვე დაიხურაო.

— ჰო, მაგათი ხელობა ეგ არის, აი ასე ატყუებენ ხალხს. გუშინ ტელევიზორით არ უყურე, ქუთაისში თავმოყრილი ათასობით უმუშევარი როგორ გააცუცურაკეს? — ვაკანსიები ამოიწურა და თებერვლამდე აღარაფერი იქნებაო.

— ქუთაისი რად გინდა, რა, თბილისში და სხვა ქალაქებშიც იგივე არ ქნეს?

— არადა, ხალხს პირდებოდნენ, თქვენ ოღონდ მოდით სარეგისტრაციო პუნქტებში, რაღაც 5 ნაბიჯის გადმოდგმას ნუ დაიზარებთ და 100 ათას კაცს უპრობლემოდ დაგასაქმებთო.

— ამის თაობაზე უკვე არაერთგზის წერდნენ გაზეთებში, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკაშიც".

— კიდევ დაწერეთ, ეს ისეთი ღონიერი ტყუილია, რომ ტყუილების მოყვარულ ხელისუფლებას არასოდეს მოყირჭდება. ოღონდ, გთხოვთ ჩემი გვარი არ ახსენო. ახალი საქმე წამოვიწყე და მეშინია იქიდანაც ხელცარიელი არ დამტოვონ.

— კარგი, თხოვნას შეგისრულებ, მაგრამ ის მაინც ვერ გავიგე, ლილოს ქარხანა ვისი მიზეზით დაიხურა?

— ვისი და ჩვენი უქნარა მთავრობის მიზეზით, რომელმაც იმის მაგივრად რომ მეცნიერებს დაგვხმარებოდა და ჩვენს მიერ წამოწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა, ზურგი შეგვაქცია.

— კონკრეტულად ეს რაში გამოიხატება?

— გეტყვი. პრეზიდენტმა მაშინ, როცა ქარხანა გახსნა, გვითხრა: რა არის საჭირო იმისათვის, რომ საწარმომ მთელი სიმძლავრით იმუშაოსო. სულ მილიონნახევარი ლარიო — ვუთხარით. გაეცინა, ეს თანხა ჩვენი სახელმწიფოსთვის არაფერია, მიდი, მიაწექითო.

ჩვენც მივაწექით, ხან ერთ ბანკს ვეცით, ხან მეორეს, მაგრამ ფული არავინ მოგვცა. სესხად გვინდოდა, მუქთად კი არა, მაგრამ მაინც არავინ გაიმეტა. აი, სწორედ აქ გვინდოდა სახელმწიფოსგან ხელის წამორტყმა (მით უფრო, რომ საწარმოში სახელმწიფო 100-პროცენტიანი წილის მფლობელი იყოძ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყური არავინ გააბარტყუნა.

შედეგიც ხელთა გვაქვს, საწარმო, რომელსაც შეეძლო წელიწადში 60 ათასი ბალონის გამოშვება და 3-4 მილიონი ლარის წმინდა მოგების მოტანა, ხელისუფლების უგულისყურობის თუ უსულგულობის გამო დაიხურა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრეზიდენტი ერთხელ მაინც ხომ უნდა დაინტერესებულიყო, მის მიერ ზარ-ზეიმით გახსნილი ქარხანა როგორ მუშაობდა?

— იგივე პრეზიდენტი, ახლა უკვე პრეზიდენტობის კანდიდატი გვპირდება — მალე გვექნება ახალი ბანკი, რომელიც კრედიტებს იაფად დახანგძრლივი ვადით გასცემს. იგი ყველა მსურველს დააკმაყოფილებს, რაც ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის აყვავებისთვის არნახულ პირობებს შექმნისო.

— იცოცხლეთ, დაპირება ეხერხება, მაგრამ შესრულებაზე რა მოგახსენოთ. ამის მაგალითად ჩვენი ქარხანაც (და არა მარტო ის, მსგავსი ფაქტები უამრავიძ გამოდგება, რომელიც მეცნიერებმა რაღაც 8 თვეში გავაკეთეთ მიზერულ თანხად, თანაც საქმის მწარმოებლებიც ჩვენ ვიყავით, ინჟინრებიც და მუშებიც, მაგრამ ვინ დაგვიფასა?

— დაზგა-დანადგარები საზღვარგარეთიდან შემოიტანეთ?

— არა, ყველაფერი ჩვენ თვითონ შევქმენით, რომლებიც ახლა გამოუყენებლად დგას და ფუჭდება.

— ინვესტორი მაინც მოგეძებნათ, თქვე კაი ხალხო.

— ეგეც ვცადეთ, მაგრამ არ გამოვიდა. ის იმდენი აწვალეს, რომ გული აუცრუვდა და იძულებული გახდა თანხა სხვაგან დაებანდებინა. ახლა ერთი გამოსავალიღა დაგვრჩა — ჩვენ მიერ გამოგონილი დანადგარები უცხო ქვეყანაში დავამონტაჟოთ, რასაც ალბათ მივაღწევთ კიდეც და არ გაგიკვირდეთ, თუ იმავე ბალონებს, რომელიც ჩვენ შევქმენით, საქართველოში სამმაგ და ოთხმაგ ფასებში შეგვასყიდებენ.

— ეს უფრო რეალურია, — დავამშვიდე ნაცნობი მეცნიერი, — აი იმ დაპირებების შესრულებაზე კი, რომლებსაც პრეზიდენტობის კანდიდატები იძლევიან, რა მოგახსენო. საამისოდ ჩვენ უკვე მრავალწლიანი გამოცდილება დავაგროვეთ და არაფერი აღარ უნდა გაგვიკვირდეს.

**ოთარ ხუციშვილი**

გლობუსი

## გამომდინარე ვნებანი

პროგრამა, მხოლოდ სამშვიდობოა, ვერაფერს გახდა და ახლა გახდება?

არა მარტო ირანი, არამედ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოც ხომ იმავეს აცხადებდა, რომ ირანი არ მუშაობს ბირთვულ იარაღზე, ბუშის ადმინისტრაციამ ელბარადეის განცხადებაც ნაკლებად სანდოდ ჩათვალა. ვაშინგტონის გეგმებში შედის ირანისათვის დაჯერება? ალბათ არა, ვინაიდან ბუშმა სადაზვერვო სამმართველოს ვარაუდზე დაყრდნობით ისიც თქვა, რომ ურანის გამდიდრების დაწყების შემთხვევაში ირანს შეეძლება 2010-2015 წლებში ბირთვული ბომბის დამზადება, რაც ამერიკას არ აძლევს სიფხიზლის მოდუნების საშუალებას და იმისათვის, რომ ირანმა ეს ვერ შეძლოს, სანქციების შემოღება აუცილებელი იქნება. ირანის მიმართ უშიშროების საბჭოს ახალი სანქციების შემოღებას მხარს არ უჭერს ჩინეთი. რუსეთის პოზიციაც მკვეთრად განსხვავებულია ამერიკულისაგან. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციასთან დაკავშირებით ისიც აღნიშნა, რომ რუსეთისთვის უცნობია ამერიკელთა დაბეჯითებული მტკიცება, რომ ირანი 2003 წლამდე ატომურ ბომბზე მუშაობდა.

ირანის პოზიცია სანქციებთან მიმართებაში ცნობილია. მისი მიხედვით სანქციები ვერ გადაათქმევინებს ირანს გააგრძელოს ლეგიტიმური მოქმედება მშვიდობიანი ბირთვული ენერგიის შექმნისათვის. მრავალწლიანი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, სანქციები აიძულებს ირანს უცხოეთიდან იმპორტირებული საქონლის ნაცვლად თვით დაამზადოს ასეთი. სანქციებით დაშინება სოლიდური მიზეზი იქნება სხვაზე დამოკიდებულების შემცირების და თვითდაკმაყოფილების გზაზე. ირანი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, სიმართლის დადგენისათვის, მაგრამ აშშ და ზოგიერთი მისი სატელიტი სახელმწიფო ცდილობს ზეგავლენა იქონიოს სააგენტოზე, რათა ამ უკანასკნელმა აუკრძალოს ირანს მშვიდობიანი ბირთვული პროგრამის განხორციელება. ირანს ალოგიკურად, უსამართლოდ, პოლიტიკურად გაუმართლებლად მიაჩნია აღნიშნულ საქმეში გაეროს უშიშროების საბჭოს ჩართვა. მისი აზრით, ეს ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას. ირანი მიიჩნევს, რომ აშშ-ს და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს, რომლებსაც თავზე საყრელად აქვთ ბირთვული იარაღი და საერთაშორისო საზოგადოებას კვებავენ ცრუ, არასწორი ინფორმაციით, უფლება არ აქვთ თითი გაიშვირონ ქვეყნისკენ, რომლის თავდაცვისა და უშიშროების დოქტრინაში არ მოისაზრება მასობრივი განადგურების იარაღი. ირანის მიხედვით, უშიშროების საბჭოზე გამავალი გზა, სიკეთეს ვერ მოიტანს, მას უფრო მეტი გართულება შეიძლება მოჰყვეს. ოფიციალური თეირანი ხშირად ამბობს ვაშინგტონის ორმაგ სტანდარტებზე და მაგალითად ისრაელი მოჰყავს: **„სიონისტური რეჟიმი თავს იკავებს საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელის მოწერისაგან და მიუხედავად გლობალური ზეწოლისა საერთაშორისო მონიტორინგის ჩატარებასთან დაკავშირებით, მთელი სიგრძე-სიგანით აგრძელებს ბირ-**



**თვული არსენალის გაფართოებას. ქვეყნები, რომლებიც აიძულებენ უშიშროების საბჭოს, გამოავლინოს ზეწოლა და დასაჯოს ირანი მშვიდობიან ბირთვულ პროგრამაზე მუშაობისათვის, ხელს უშლიან უშიშროების საბჭოს, განახორციელოს რაიმე ქმედება, თუნდაც შეზღუდული, სიონისტური რეჟიმის წინააღმდეგ, რათა მან პატივი სცეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს".**

აშშ-სა და რუსეთს შორის ახალი დაძაბულობა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების პროგრამამ გამოიწვია. თავის მხრივ, ამერიკელთა მტკიცებით, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგება ირანის რაკეტების შიშით არის გამოწვეული. ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ მიუხედავად რუსეთის გარკვეული დათმობებისა, ამერიკელები მაინც კატეგორიულად ადგანან ამორჩეულ გზას. **სამხედრო ექსპერტების აზრით რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები რუსეთს ვერაფერს დააკლებს, ამასთან არც ირანის რაკეტების საწინააღმდეგოდ ივარგებს, ვინაიდან ირანი კონტინენტშორის რაკეტებს უახლოეს 10 წლის განმავლობაში ვერ შექმნის და თუ შექმნა, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ თავს დაესხას ევროპა-ამერიკას, რამეთუ მათი მხრიდან საპასუხო თავდასხმა იოლად მოსაგერიებელი არ იქნება. აქედან გამომდინარე აბსურდად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ს ადმინისტრაციის აჩემება.**

გასულ კვირას დასავლეთის „დემოკრატიული თვალი" რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისკენ იყო მიმართული, წინასწარი განცხადება, რომ რუსეთის არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდებოდა, „გამართლდა". ამერიკელმა კონგრესმენებმა არ უღალატეს წინასწარ ვერსიას და არჩევნების შემდეგაც იგივეს ამტკიცებენ. მათი გავლენით ზოგიერთი ევროპელი პარტნიორიც იგივეს იმეორებს და არა მარტო ისინი, არამედ — ქართველი პოლიტიკოს-პოლიტოლოგებიც.

**რუსეთს საქართველოს დასაწიხლი ამ შემთხვევაში ნამდვილად არაფერი აქვს, ვინაიდან საქართველოში ჩატარებული ყველა სახის არჩევნები გაყალბების უნიკალურ და განუმეორებელ მაგალითებად ჩაითვლება. რაც შეეხება ამჟამინდელ არჩევნებს, წინასაარჩევნო კამპანია გვკარნახობს, რომ ტრადიცია არც ახლა დაირღვევა და კომუნისტურ დროს არსებული „შემხვედრი გეგმის"მსგავსად, აშკარად გადააჭარბებს წინა არჩევნებს. არც დასავლელი „დამკვირვებლები", განსაკუთრებით ეუთოდან, უღალატებენ ტრადიციას და გაყალბებულს, დემოკრატიულად შეაფასებენ. ამ შემთხვევაში ეუთოს „დამკვირვებლებს", რუსეთისაგან განსხვავებით, ხელისუფლების სახარბიელო მითითება ექნებათ.**

ეუთოს და ევროსაბჭოს წარმომადგენლები გასულ კვირასაც სტუმრობდნენ საქართველოს და თუ სურვილი ჰქონდათ, შეუნიღბავი თვალითაც დაინახავდნენ იმ უთანასწორო პაექრობას, რომელსაც ხელისუფლება აწარმოებს ოპოზიციური კანდიდატების მიმართ. ნაცვლად ამისა, ევროსაბჭოს წარმომადგენელმა მათიას იორშმა ქებით მოიხსენია საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისთვის. არადა „დამატებითი სიების" საკითხის დაკანონება თავისთავად მეტყველებს ხელისუფლების საარჩევნო განზრახვაზე.

**ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე, მის შემართებასა და გონიერებაზე, მით უმეტეს იმ არჩევნებში, რომელმაც საქართველოს ბედი უნდა გადაწყვიტოს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**

პოლიტოლოგი

# განსჯა

● დღეს საქართველოს მართავს „მისისიპდალეული“, ქართულ ფესვებს მოწყვეტილი, გაურკვეველი ეროვნული შეგნების, უცხო ენების მცოდნე, ავადმყოფურად პატივმოყვარე, ამბიციური, საყმაწვილო სენით შეპყრობილი, ჭირვეული და უწიგნური ჭაბუკები



◎ მომისმინეთ!

# თავზრუ არ დაგვესხას!..

**2008 წლის 5 იანვრისთვის დღევანდელმა ხელისუფლებამ რომ ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა, ეს სულაც არ ნიშნავს მათი დემოკრატიული ნების გამოხატულებას.**

მსოფლიოს წამყვანი ტელეარხებით გადაიცემოდა 2-7 ნოემბრის თბილისის საპროტესტო აქციები, რომლებიც მიმართული იყო ხელისუფლების მხრიდან ქართველი ხალხის ჩაგვრის, ღირსების შელახვის და მართლმსაჯულების უსამართლობის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უკიდურესი სიღარიბე და სილატაკეა, მომიტინგეებმა უკანა პლანზე გადასწიეს სოციალური პრობლემები, რადგან მიხვდნენ, რომ დღევანდელ პრეზიდენტს და მის გუნდს თავიანთი პოლიტიკით ერი გადაგვარებისაკენ, ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვისაკენ მიჰყავს.

2-7 ნოემბრის აქციებით მსოფლიომ ნათლად დაინახა, თუ როგორაა ქართველი ხალხი განმსჭვალული დემოკრატიული სულით, დამუხტული ეროვნული თვითშეგნებით, ურთიერთსიყვარულითა და თანადგომით, პოლიტიკური კულტურით, რომ ქართველი ერი სულაც არ არის გაუვალ ჯუნგლებში ბინადარი ველური ტომი და ამ ტომებისთვის გამოწერილი პოლიტიკური ტესტები ჩვენთვის არ გამოდგება. შესაბამისად, ყველა ხელისუფალმა უნდა გაითვალისწინოს ერის ისტორია, ტრადიციები, თავისებურებანი, ერთი სიტყვით, ქართული ცნობიერება.

სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთანავე დასავლეთიდან საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლების მხარდასაჭერად დინება დაიწყო გრანტებმა, ტრანშებმა, ინვესტიციებმა, შეღავათიანმა კრედიტებმა და ა.შ. ასევე, უცხოეთიდან წამოვიდა გაუმართლებელი, ავანსად წარმოთქმული დითირამბები სააკაშვილისა და მისი გუნდის დემოკრატიულობისა და პროგრესულობის შესახებ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ლამის დემოკრატიის შუქურაც კი უწოდეს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამით, აშკარაა, უცხო „ძიებმა“ დათვური სამსახური გაუწიეს სააკაშვილსა და მის გუნდს. ისინიც დარწმუნდნენ დასავლეთის მხარდაჭერაში, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და დაიწყეს საქართველოს მართვა ქართველი ხალხის ნების უგულებელყოფით.

სააკაშვილის ხელისუფლებამ ისარგებლა დასავლეთის ნდობით, მათი ქველმოქმედებით, კეთილი სურვილებითა და გაყალბებული სტატისტიკური მონაცემებით, თუ სხვა პიარაქციებით მოატყუა დასავლეთი: თითქოს საქართველოს ეკონომიკა აღმავლობას განიცდის, ხალხის ცხოვრების დონე დღითი დღე იმატებს და ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით კმაყოფილია.

დღეს იმ ქვეყნებისთვის, ვინც მილიარდობით დოლარი გაიღო საქართველოს სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად, ვინც დაინტერესებულია ჩვენით, როგორც კავკასიის რეგიონში სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტით, ნათელი შეიქნა, რომ საქართველო არამარტო სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონია, არამედ აქ თვითმყოფადი ხალხიც ცხოვრობს და მსოფლიოს არც ერთ ერზე ნაკლები ისტორიის და კულტურის მქონე არ არის.

ძველი ბერძნები ამბობდნენ: „ჭკვიანი ის კი არ არის, ვინც უბედურების ჟამს გონებას უხმობს და გაჭირვებიდან გამოვა, არამედ ის, ვინც ბედნიერების დროს ჭკუას არ დაკარგავს“. 2-7 ნოემბრის მოვლენებმა იმის საფუძველი მოგვცა, რომ ერმა ამ ეტაპზე გამარჯვება იზეიმოს, მაგრამ თავბრუ არ უნდა დაგვესხას და ფხიზელი გონებით, გაწონასწორებული აზროვნებით მოვახერხოთ ახალი პრეზიდენტის არჩევა.

საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ღვთისმოშიში, სხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებელი და პატივისმცემელი, შეურიგებელი რასისტული, შოვინისტური და სხვა ბინძური ქვენა გრძნობების მიმართ; პატიოსანი, ღრმად შეყვარებული საკუთარ ხალხზე და ქვეყანაზე. არა მარტო კონსტიტუციით, არამედ შინაგანადაც იყოს ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი ერის წინაშე; ქვეყნის საშინაო საქმეებში, ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, როგორც შეეფერება დიდი ქართული ოჯახის მამას, იყოს კარგი მეურნე და მზრუნველი; სახელისუფლო გუნდში შემოიკრიბოს პატრიოტი, პატიოსანი და ეკონომიკის სფეროს ღრმად მცოდნე სპეციალისტები.

საგარეო პოლიტიკაში პრეზიდენტი უნდა იყოს ფრთხილი, დიპლომატიურად მომხიბვლელი, გაითვალისწინოს ჩვენი სტრატეგიული მნიშვნელობა, აიღოს მაგალითი ქართველთა სახელოვანი მეფეებისგან, რომლებმაც აბსოლუტურად მტრული გარემოცვას გაუძლეს და ქართველი ერი განადგურებას გადაარჩინეს.

დროა დავივიწყოთ ამ ბოლო ხანს გავრცელებული სტერეოტიპი, რომ ვართ პატარა ერი და დიდი ბატონის გარეშე ვერ გადავრჩებით. ეს არ არის სწორი, ჩვენზე გაცილებით პატარა ქვეყნებია მსოფლიოში, მაგრამ არავინ ერჩის, გეგმაზომიერად ვითარდებიან, მიუხედავად მრავალი მათგანის მდიდარი ბუნებრივი წიაღისეულისა და, თუნდაც ეკონომიკური რესურსების სიმწირისა.

საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა, გუშინდელი „ვარსკვლავბიჭუნებისგან“ განსხვავებით, უნდა დააკომპლექტოს მთავრობა გამოცდილი, დარგის მცოდნე, პატიოსანი სპეციალისტებით. წარსულს უნდა ჩაბარდეს ნებისმიერი ერისთვის შეურაცხმყოფელი პრაქტიკა, ჰყავდეს ისეთი ხელისუფლება, სადაც სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებში მინისტრები, ელჩები, ქალაქების მერები 25-30 წლის ვუნდერკინდი ყმაწვილები არიან. გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში 40-50-60 წლის ხალხი არ გამოდგება სახელმწიფოს სამართავად. ეს მცდარზე მცდარი პოლიტიკაა.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიიდან ვიცით, თუ რა დადებითი როლი შეასრულეს ერის განათლებაში, კულტურასა და ლიტერატურაში ქართულ ფესვებზე აღმოცენებულმა და უცხოეთში განათლება მიღებულმა დიდმა ქართველებმა. ისინი არ მოწყვეტილან ქართულ ფესვებს. მარტო „თერგდალეულთა“ ღვაწლი რად ღირს.

დღეს საქართველოს მართავს „მისისიპდალეული“, ქართულ ფესვებს მოწყვეტილი, გაურკვეველი ეროვნული შეგნების, უცხო ენების მცოდნე, ავადმყოფურად პატივმოყვარე, ამბიციური, საყმაწვილო სენით შეპყრობილი, ჭირვეული და უწიგნური ჭაბუკები.

საქართველო უნდა მართოს ერის წიაღში შობილმა, ერზე შეყვარებულმა, მრავალმხრივ განათლებულმა ხელისუფლებამ, რომელსაც ხალხი აირჩევს.

საქართველოს მომავალ პრეზიდენტს შესანატრი ნამდვილად არაფერი აქვს. ის იბარებს მოშიმშილე ქვეყანას, ტოტალურ უმუშევრობას, დანგრეულ ეკონომიკას, მოსახლეობისაგან დაცლილ,ერთ დროს სისხლსავსე სოფლებს, გატიალებულ და გაპარტახებულ სახნავსათესებს,შეუხორცებელ ჭრილობებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს სახით, რუსეთიდან თითქმის საომარ მდგომარეობაში ყოფნის მდგომარეობას.

აი, როგორია საქართველო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების წინ და ყველამ, ვინც თავის თავს მოიაზრებს ქართველი ხალხის მომავალ პრეზიდენტად, კარგად დაფიქრდეს, ჩაიხედოს საკუთარ გულში, აწონ-დაწონოს თავისი ინტელექტუალური დონე, ფიზიკური და მორალური შესაძლებლობები, გაითავისოს ის აზრი, რომ გოლგოთას გზას უნდა დაადგეს და... თუ ეჭვი შეეპარება, რომ ამას ვერ შეძლებს, დაუთმოს გზა მას, ვისაც ეს ხელეწიფება.

**მოგელი ნადარეიშვილი**

◎ თანადგომა

# „სათნოება-სათნოების“ სახლს მოსწავლეები ეწვივნენ

**მე-10 საჯარო სკოლისა და „სათნოება-სათნოების“ სახლს შვიდი წლის მეგობრობა აკავშირებთ. ყოველ წელს სკოლის დირექციის, პედაგოგიური კოლექტივის და მოსწავლეთა თვითმმართველობის თაოსნობით იმართება ხანდაზმულთა დახმარების აქცია, რომელშიც თავიანთი შემოქმედებით და შემოწირულობებით მოსწავლეებიც მონაწილეობენ.**

წლეულს სკოლაში განსაკუთრებული აქცია მოეწყო — კლასებში ჩამოატარეს ყულაბა, რითაც მოსწავლეებს და მასწავლებლებს საშუალება მიეცათ სურვილისამებრ მოკრძალებული დახმარება თანხითაც გამოეხატათ. ყულაბა მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების თვალწინ გაიხსნა და დაითვალა თანხა, რომელმაც 222 ლარი და 60 თეთრი შეადგინა. ეს ფული კლასებში შეგროვილ პროდუქტთან ერთად (ხილი, შაქარი, მაკარონი, ბრინჯი და სხვ.) გადაეცა „სათნოება-სათნოების“ სახლს, სადაც 15 ასაკოვანი ადამიანი ცხოვრობს.





მოსწავლეებმა თავადაც დაურიგეს სახლის ბინადართ პროდუქტები, ხოლო სკოლის ანსამბლ „იას“ წევრებმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ სკოლის დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო საკითხში მედეა შენგელია და მუსიკის მასწავლებელი ლია ანთიძე, კონცერტიც ჩაუტარეს, წაიკითხეს ლექსები.

ამ საინტერესო ღონისძიების მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სკოლის დირექტორი ბელა ხუბუტია და მთელი პედაგოგიური კოლექტივი.

როგორც ქალბატონმა ბელამ აღნიშნა, მომავალშიც მრავალი სასიკეთო ღონისძიება აქვთ დაგეგმილი და მისი სურვილია, რომ მე-10 საჯარო სკოლა ყოველთვის საინტერესო შემოქმედებითი იდეებით ცხოვრობდეს.

**დოდო ლაზარაშვილი**

● ახლა, როცა ცნობილია ციფრები, ფაქტები და არგუმენტები, ალბათ, შეიძლება უკვე, პირობითად მაინც, განვსაჯოთ: ყველაფერი სამართლიანად მოხდა თუ უსამართლოდ; რა შევიძინეთ და რა დავკარგეთ...

**◉ ინფორმაცია**

## სტუდენტებს გამოკითხავენ და „ნაციონალებში“ გააერთიანებენ

**პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერების ახალგაზრდულ შტაბში სტუდენტებს რეგისტრირებული მხარდამჭერის მოწმობას აძლევენ.**

შტაბში გუშინ სტუდენტებისა და ახალგაზრდების რეგისტრაცია დაიწყო.

სარეგისტრაციო ფურცელი სამი ნაწილისგან შედგება, ორ ნაწილში ივსება სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ერთი ნაწილი შტაბში რჩება, მეორე კი, ვინც შეავსო იმ ადამიანს ეძლევა.

საინფორმაციო ფურცლის მესამე ნაწილი კი მოიცავს ინფორმაციას, მიხეილ სააკაშვილის მიზნებზე – უმუშევრობის პრობლემის მოგვარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სიღარიბის დაძლევა და სოციალური ფონის მკვეთრი გაუმჯობესება, საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, უმაღლესი დონის საგანმანათლებლო დონის შექმნა და მსოფლიო სტანდარტების ჯანდაცვის სფეროს ჩამოყალიბება.

დარეგისტრირებულ სტუდენტებს ხუთჯვრიანი დროშები და საარჩევნო ბუკლეტები გადაეცემა.

როგორც შტაბში განაცხადეს, პარალელურად უმაღლეს სასწავლებლებში გამოკითხვა მიმდინარეობს, დაგეგმილია 10 ათასი სტუდენტის გამოკითხვა, თუ ვის უჭერენ მხარს და მიდიან თუ არა ისინი არჩევნებზე.

გამოკვლევის და შტაბში სტუდენტთა რეგისტრაციის მიზანია, სტუდენტების გააქტიურება, რათა მათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. 15 დეკემბრის შემდეგ ახალგაზრდული შტაბის წარმომადგენლები რეგიონებში წასვლას და იქ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების გამოკითხვას აპირებენ.

## ავთო მარგიანს პრეზიდენტობისაკენ გზა გადაუკეტეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ნანა დარასელიამ პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველის ავთანდილ მარგიანის სარჩელი არ განიხილა.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურიდან იტყობინებიან, საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის 20-ე პუნქტის თანახმად, საარჩევნო დავების დროს სასამართლოში სარჩელი უნდა შეიტანოს პრეზიდენტობის მსურველის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და არა უშუალოდ პრეზიდენტობის მსურველმა.

– ამ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში სარჩელი შეიტანა უშუალოდ ავთანდილ მარგიანმა და არა მისმა წარმომადგენელმა. ამის გამო, სასამართლომ გამოიტანა განჩინება და ავთანდილ მარგიანის სარჩელი არ განიხილა, – განმარტეს სასამართლოში.

განჩინების გასაჩივრება მხარეებს ორი დღის განმავლობაში, სააპელაციო სასამართლოში შეუძლიათ.

ინტერპრესნიუსი

**◉ ეს იყო, იყო...**



# ქლუხორისა და ახალხევის რაიონები,
## ანუ როგორც მოგვცეს, ისე წაიღეს

ხრუშჩოვთან საუბრის შემდეგ ყარაჩაელი ხალხის რეაბილიტაცია და მშობლიურ მიწებზე დაბრუნება მალე განხორციელდა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ქლუხორის რაიონში მცხოვრები ქართველები მათ გულთბილად დახვდნენ და ხელი შეუწყეს ყარაჩაელებს ჩვეული ცხოვრების მოწყობაში, ხოლო როცა სვანები და რაჭველები უკან – სვანეთში და რაჭაში დაბრუნდნენ, მათ თავიანთი ეზო-კარი, ბაღები და ბოსტნები უკლებლივ ყარაჩაელებს დაუტოვეს. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ სვანები და რაჭველები 15 წლის განმავლობაში პატივს სცემდნენ ყარაჩაელთა კულტურის ძეგლებს, მათი წინაპრების საფლავებს... სხვათა შორის, როგორც წყაროებით ირკვევა, ბალყარეთში, ტირნიაუზის სამხრეთით, მდინარე ბაქსანის ხეობაში, ბალყარელთა თხოვნით, ოცამდე ქართული ოჯახი დარჩა და იქ მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ, ადგილობრივი მოსახლეობა პატივისცემით მოიხსენიებს მათ კეთილ საქმეებს.

1957 წლიდან, რასაკვირველია, კვლავ შეიცვალა რაიონის ტოპონიმიკა – ქლუხორს ეწოდა ყარაჩაევსკი, სოფლებსა და აულებს დაუბრუნდა ადრინდელი დასახელებები...

***ცნობისათვის: ამჟამად ყარაჩაიში (ანუ ყოფილ ქლუხორის რაიონში) მდებარე თებერდა-დომბაის რაიონი, აგრეთვე ბალყარეთში არსებული პრიელბრუსის ზონა მსოფლიოს ცნობილ სამთო-სათხილამურო სპორტულ-ტურისტულ დასასვენებელ ცენტრებს შორის მოიხსენიება. ელბრუსი, თეგენეკლი, იტკოლი, ტერსკოლი – მდინარე ბაქსანის ზემო წელში, იალბუზთან მდებარე რუსეთის ეს სამთო კურორტები საქართველოს პრ[illegible] იყო, ახლა კი საერთაშორისო სტატუსით სარგებლობენ და მათი განვითარება მსოფლიო სტანდარტებით სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს.***

ახლა გადავხედოთ, რა ხდება ყოფილ ახალხევის რაიონში. 1957 წლის 9 იანვარს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩეჩენი და ინგუში ხალხების რეაბილიტაცია და მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღდგენა განახორციელა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შემდეგი დადგენილება მიიღო: **„ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის აღდგენასთან დაკავშირებით, დაუბრუნდეს რსფსრ-ს ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ნაწილი, რომელიც შედგება ყოფილი ითუმყალეს რაიონისაგან, აგრეთვე გალანჩოჟის, გალაშკის, შაროის, პრიგოროდისა და გიზელდონის რაიონების ნაწილებისაგან. ამის შესაბამისად, ჩაითვალოს აღდგენილად საქართველოსა და რუსეთის სფსრ-ის საზღვარი, რომელიც 1944 წლის 7 მარტამდე არსებობდა...“** (სუიცსა, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1343ძ.

ისევე როგორც ქლუხორის რაიონში, აქ მცხოვრები ქართველებიც ყველანაირად ეხმარებოდნენ სამშობლოში დაბრუნებულ ინგუშებსა და ჩაჩნებს – დაუტოვეს მეცხოველეობის ფერმები, ბინები, ბაღები... მაგალითად, მხოლოდ ყაზბეგის რაიონში, სადაც 1944-56 წლებში ორი სასოფლო საბჭო შეიქმნა – ლარსისა და დარიალისა, 2400 ქართველი ცხოვრობდა, ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ხუთი კოლმეურნეობა თავისი ინფრასტრუქტურით – გახსნილი იყო სამი საშუალო და ცხრა დაწყებითი სკოლა, აშენდა ოთხი კლუბი, ექვსი ბიბლიოთეკა, სამი საავადმყოფო, საავადმყოფოპუნქტი, ოთხი საბავშვო ბაღი, ხუთი მაღაზია და სამი ადმინისტრაციული შენობა. ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვთქვით, ქართველებმა სამშობლოში დაბრუნებულ ინგუშებს გადასცეს. ასევე დაუბრუნდა ჩრდილოეთ ოსეთს გიზელდონის რაიონის სამხრეთი ნაწილი.

ჩრდილოკავკასიურ ინტერნეტწყაროებში ბოლო წლების განმავლობაში მრავალი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა უმაღლეს დონეზე ქართველების მიერ ინგუშებისა და ჩეჩნებისათვის ტერიტორიისა და ქონების გადაცემა-დაბრუნება. მოვიხმოთ ინგუში სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ძიაუდინ მალსაგოვის მემუარები, რომელიც რეპრესიების დაწყებისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის გაუქმების დროს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი იყო, ხოლო რეპრესირებულების სამშობლოში დაბრუნების ჟამს – ავტონომიის აღდგენის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და რეპატრიანტების საკითხებში კომპარტიის ცეკას რწმუნებული გახლდათ: **„1956 წლის 24 ნოემბერს პარტიის ცეკას პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ჩეჩენი და ინგუში ხალხების ეროვნული ავტონომიის აღდგენის შესახებ. ამ მიზნით ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი გაირბეკოვის თავმჯდომარეობით... იმავე წლის დეკემბერში ჩვენ, საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, მოსკოვში, ცეკას პრეზიდიუმში მიგვიწვიეს. როგორც იქ გვითხრეს, ჩვენი რესპუბლიკის აღდგენის მიზნით უკვე შექმნილა სახელმწიფო კომისია ანასტას მიქოიანის ხელმძღვანელობით, რომელშიც მალენკოვი, ვოროშილოვი, საბუროვი და კიდევ რამდენიმე წევრი შედიოდა. სწორედ ამ კომისიის სხდომაზე მივიღეთ მონაწილეობა... დაიწყო განხილვა, თუ რომელ ტერიტორიაზე უნდა აღდგენილიყო ჩეჩნეთ-ინგუშეთი. წარმოდგენილი ბარბაროსული გეგმის თანახმად, თითქმის ყველა ტერიტორია ისევ რჩებოდათ ჩრდილო ოსეთს, დაღესტანს და საქართველოს... ისე გამოდიოდა, რომ ჩვენ კვლავ მიწების გარეშე ვიქნებოდით და ამ ნარჩენებზე რესპუბლიკის შექმნა უაზრობად ჩანდა. განსაკუთრებით უარზე იყო ჩრდილო ოსეთის წარმომადგენელი აგკაცევი... კამათი საკმაოდ მწვავე იყო. მე სულ ვფიქრობდი – აი, ახლა ადგება აგკაცევი და იტყვის: „კარგი, მოვეშვათ ამ საკითხს, ჩვენ სხვისი მიწა არ გვინდა“. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. როცა [illegible] მთიანი რაიონების კუთვნილების საკითხზე გადავედით, [illegible] კარგად იცნობთ ჩეჩნეთ-ინგუშეთის, რაღა დაგვრჩება, თუ ყველაფერი ისევ მეზობლებს დავუტოვებთ, განა ისინი დათანხმდებიან ამაზე? განა მათ არ შერცხვებათ ჩვენს სოფლებში იცხოვრონ და ჩვენი მიწის დოვლათით ისარგებლონ? მათ ხომ იციან, როგორი გზით მიიღეს ეს მიწები! სიტუაცია განმუხტა დაღესტნის ასსრ-ის წარმომადგენელმა დანიალოვმა: „მართლაც, ჩეჩნებსა და ინგუშებს არაფერი რჩებათ, ეს უსამართლობაა... ჩვენ უარს ვამბობთ მათ მიწებზე, გავიყვანთ ჩვენს ხალხს და დაე, იქ ჩვენმა ძმებმა იცხოვრონ...“ დანიალოვის შემდეგ გამოვიდა საქართველოს ცეკას მდივანი, რომლის გვარი, სამწუხაროდ აღარ მახსოვს. ისიც ისე მოიქცა, როგორც ნამდვილ მამაკაცსა და კავკასიელს შეჰფერის – უარი თქვა ინგუშებისა და ჩეჩნების მიწებზე. ორივემ მოუწოდა ჩრდილო ოსეთის წარმომადგენელს, რათა მასაც უარი ეთქვა პრიგოროდნის რაიონზე, მაგრამ აგკაცევი კვლავ მუხანათურად მოიქცა. მან შეარცხვინა კავკასიელთა ღირსება, მზაკვარი გამოდგა...“**

საქართველოს მიერ რსფსრ-სათვის (ე. ი. ჩრდილო ოსეთისათვის და ჩაჩნეთ-ინგუშეთისათვისძ უკან დაბრუნებული ტერიტორიების გადანაწილებასთან დაკავშირებით დავა ოსებსა და ინგუშებს შორის კიდევ გრძელდებოდა, განსაკუთრებით ეს ეხებოდა პრიგოროდნის რაიონის სამხრეთ ნაწილს. როგორც ინგუში მკვლევარი ტამერლან მუთალიევი აღნიშნავს, ოსები უკვე თავისად მიიჩნევდნენ ამ ტერიტორიას, მათ ძალიან სურდათ სოფელ ლარსისა და მის ახლოს მდებარე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის ხელში ჩაგდება – „იმ ჰესისა, რომელიც ქართველებმა რამდენიმე წლის წინათ საკუთარი ფულით ააშენეს“. „სამწუხაროდ, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის აღდგენის მიზნით შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი ოსების მოთხოვნა დააკმაყოფილა. ასე მიითვისეს ოსებმა ინგუშეთის ისტორიული ტერიტორიის – ჯეირახის ხეობის დასავლეთი ნაწილიც“, – აღნიშნავს ტ. მუთალიევი. მართალია, 60-70-იან წლებში საქართველოს მიერ დაბრუნებული ტერიტორიების გაყოფის გამო ოს-ინგუშთა დაპირისპირება მძაფრად არ იგრძნობოდა, მაგრამ ეს იყო ქარიშხლისწინა მდგომარეობა – კონფლიქტმა მთელი ძალით 80-იანი წლების ბოლოს იფეთქა...

ასეთია საქართველოსათვის ჩრდილოკავკასიური ტერიტორიების გადმოცემისა და რუსეთისათვის მათი უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვფიქრობ, მკითხველს უკვე ჩამოუყალიბდა საკუთარი თვალსაზრისი ჩვენი სამშობლოს ისტორიის ამ შედარებით ნაკლებად ცნობილი ფაქტების მიმართ. ახლა, როცა ცნობილია ციფრები, ფაქტები და არგუმენტები, ალბათ, შეიძლება უკვე, პირობითად მაინც, განვსაჯოთ: ყველაფერი სამართლიანად მოხდა თუ უსამართლოდ; რა შევიძინეთ და რა დავკარგეთ...



საქართველოს სსრ ქლუხორისა და ახალხევის რაიონები
1944-1957 წლებში

სიმონ კილაძე


დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 237-241.



№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება არცთუ საუკეთესო გზაა, რადგან ბევრ პრობლემას წარმოშობს. მაგრამ მათი არაღიარება ბევრად უფრო საშიშია. სამწუხაროდ, სხვა არჩევანს არ გვიტოვებენ“



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ალიარებს თუ არა რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?

**საქართველო რუსეთზე ისევ განაწყენდა. ჩვენს დამკვირვებლებს არ მიიწვევენ 5 იანვარს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე. პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ გადაიფიქრა მიელოცა თავისი კოლეგისთვის ბორის გრიზლოვისთვის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მისი პარტიის გამარჯვება. ასეთი მძიმე შედეგები მოჰყვა არჩევნებში გამარჯვებისთანავე „ედინნაია როსიას“ ლიდერის გაუფრთხილებელ გამონათქვამებს, რომ შესაძლოა სახელმწიფო სათათბირომ უკვე 2008 წლის იანვარში განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი.**

ყველას ესმის, რომ დეპუტატთა ასეთი უჩვეულო გამბედაობა მოწმობს, რომ კრემლში უკვე მიღებულია (ან სადაა მიიღებენ რაღაც გადაწყვეტილებებს. ამიტომ სწორედ დროა კიდევ ერთხელ კარგად დაფიქრდნენ: შეესაბამება თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება რუსეთის ინტერესებს?

ფიქრისთვის კი სულ უფრო ნაკლები დრო გვრჩება. წამმზომი ჩართულია, ჯერ კიდევ ზაფხულში განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა. თანაც ეს წამზომი თბილისში სულაც არ ჩაურთავთ. სერბიის კოსოვოს მხარის ბედში გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება...

დამკვირვებელთა აზრით, კოსოვო უახლოეს თვეებში მიიღებს დამოუკიდებლობას. მხარის ალბანური უმრავლესობა მზადაა დამოუკიდებლობა ცალმხრივი წესით, თუნდაც ხვალვე გამოაცხადოს, რის შემდეგაც, ალბათ, ახალ სახელმწიფოს დასავლეთის ზოგიერთი მთავრობაც აღიარებს. მოსკოვს კიდევ ერთხელ საჯაროდ გააწნიან სილას, რის შემდეგაც მას ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვენ კოსოვოს შემთხვევის „უნიკალურობის“ აღიარებას. იმის თაობაზე, რომ მოვლენები სწორედ ასეთი სცენარით განვითარდება, ექსპერტები უკვე კარგა ხანია იძლეოდნენ გაფრთხილებას. ერთადერთი იმის იმედი რჩება, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას აქვს ასეთ შემთხვევაში მკაფიო სამოქმედო გეგმა.

ჯერ კიდევ 2006 წლის 30 იანვარს პრეზიდენტმა პუტინმა მთავრობის წევრებთან თათბირისას არაორაზროვნად განაცხადა: „შემოთავაზებულ გადაწყვეტილებათა ყველა ვარიანტს (კოსოვოს სტატუსის შესახებ — **„MK“**-ძ... უნივერსალური ხასიათი უნდა ჰქონდეს“. მეტად მკაფიოდაა ნათქვამი, მაგრამ რუსეთის მმართველ ელიტაში ჯერაც არ არსებობს თვითაღიარებული რესპუბლიკების მიმართ ერთიანი მოსაზრება. თუმცა, თითქოს არც არავინ დავობს იმაზე, რომ დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარება პრეცედენტს შექმნის. „სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იმ მოცულობით მაინც, რომლითაც კოსოვოსა და ჩრდილოეთ კვიპროსს აღიარებენ, — თქვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელმა მოდესტ კოლეროვმა. — ეს სამართლიანობა უნივერსალურია. როცა კოსოვოს სტატუსი შეიცვლება, ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის მიმართაც სამართლიანობის მოთხოვნები ჩვენი მხრიდან გაიზრდება“. კოლეროვის აზრით, „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უკვე ყველა აღიარებს დე ფაქტო სახელმწიფოებად. მათ, როგორც კონფლიქტების აღიარებულ მხარეებს აქვთ თავიანთი ინტერესების პოლიტიკური აღიარების, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის, დამოუკიდებელი საგანმანათლებლო და საინფორმაციო პოლიტიკის თავისუფლების განუყოფელი უფლება“.



აღიარების მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი ასეთია: ამ ნაბიჯის გადადგმით, საბოლოოდ და სამუდამოდ დავკარგავთ საქართველოს.

უცნაური არგუმენტია, რადგან შეიძლება დაკარგო მხოლოდ ის, რაც გაქვს. საქართველო უკვე დიდი ხანია დავკარგეთ. ფაქტობრივად, რუსეთისგან ჩამოშორების კურსი რესპუბლიკის ელიტამ ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში დასახა: დისიდენტი თენგიზ გუდავა, მაგალითად, იხსენებდა, რომ 1985 წელს თბილისში სუკის გამომძიებლები, მისი დაკითხვისას ამბობდნენ, რომ ისინიც საქართველოს დამოუკიდებლობას ემხრობოდნენ და რუსებს ლანძღავდნენ. სააკაშვილი თავიდანვე დაპროგრამებული იყო მთავარი ამოცანის შესასრულებლად: გადაექცია საქართველო კავკასიაში ამერიკის პლაცდარმად. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტს რუსეთის უმაღლესმა ხელმძღვანელებმა არაერთგზის შესთავაზეს: აფხაზეთთან საერთო ენას გამოგაძებნინებთ თუ ნატოში შესვლაზე უარს იტყვითო. ეს წინადადებები უარყვეს.

საქართველოში არ არის არც ერთი სერიოზული პრორუსული ძალა, ჩვენი ქვეყნის მომხრე პოლიტიკოსები ციხეში სხედან, ისინი კი, ვინც თუნდაც საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტს უჭერს მხარს „კრემლის აგენტებად“ ცხადდებიან. ხელისუფლებაში მათ მოსვლას არ დაუშვებენ. 5 იანვარს პრეზიდენტის არჩევნებთან ერთდროულად საქართველოში გაიმართება აგრეთვე რეფერენდუმი ნატოში შესვლის შესახებ. გვარწმუნებენ, რომ საქართველოში ნატოს 80 პროცენტი ემხრობა. ასეა თუ არა სინამდვილეში, ალბათ ვერც გავიგებთ. ვინაიდან საეჭვოა ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვა პირობებში, როცა ხელისუფლება მოქალაქეებს ურცხვად არწმუნებს, რომ ყველა მათ სატელეფონო საუბარს ისმენენ. როგორც ჩანს, ნატოში საქართველოს შესვლის საკითხი რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად გადაწყდება. ასე რომ, კარგა ხანია აღარ გვაქვს არჩევანი აფხაზეთსა და მთელს საქართველოს შორის, რაშიც თვალთმაქცურად გვარწმუნებენ თბილისი და მისი „მხარდამჭერი ჯგუფი“ მოსკოვში. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი არჩევანი, სად გაივლის ალიანსის საზღვარი: მდინარე ენგურზე თუ ფსოუზე. ენგური გვირჩევნია, მხოლოდ იმიტომ, რომ დაშორებულია ჩვენს საზღვრებს.

ჩვენი „ოპორტუნისტებიც“ ამტკიცებენ, რომ აღიარება არახელსაყრელია სწორედ ახლა, როცა საქართველოში ხელისუფლების საკითხი წყდება. აქაოდა, მთელი ერი სააკაშვილის გარშემო გაერთიანდება და ის კვლავ მოიგებს არჩევნებსო.

მაგრამ საქართველოში არჩევნებამდე მოსკოვი უკვე ვეღარაფერს მოასწრებს. თუ რამე ნაბიჯი გადაიდგა, ეს აშკარად 5 იანვრის შემდეგ მოხდება.

პოლიტოლოგ ალექსანდრე სკაკოვის აზრით, თუ კოსოვოს ლეგალიზაციისთანავე თუნდაც აფხაზეთს არ ვაღიარებთ, შანსს ხელიდან გაუშვებთ, ამის გაკეთება შემდგომში მნიშვნელოვნად გაჭირდება. „მხოლოდ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას შეუძლია შეაჩეროს საქართველოში ნატოსკენ მოძრაობა, — მიაჩნია სკაკოვს. — დასავლეთი სხვა გზას აღარ გვიტოვებს“.

რასაკვირველია, რუსეთში მმართველი ბიუროკრატიისათვის უმჯობესი იქნებოდა ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის. მაგრამ სტატუს-კვოს შენარჩუნება შეუძლებელია. საქართველო განაგრძობს პროვოკაციებს ჩვენი მშვიდობისმყოფელების გამოძევების მიზნით. ნატოს წევრი რომ გახდება, იგი შეძლებს თითქმის დაუსჯელად დაესხას თავს აფხაზებსა და ოსებს: რუსეთისათვის კი სამხედრო ჩარევა უკვე ალიანსთან ფართომასშტაბიან ომს ნიშნავს. ამ შემთხვევაში, აფხაზებსა და ოსებს კოსოვოელი სერბების ბედი ელით: მათ სამშობლოდან განდევნიან. „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ერთადერთი ალტერნატივაა ნატოს ვალდებულება არ მიიღოს საქართველო ალიანსში ამ კონფლიქტების მოწესრიგებამდე“, — ამტკიცებს ალექსანდრე სკაკოვი.

მაგრამ მოვლენათა ამგვარი განვითარება ნაკლებად სარწმუნოა. ამიტომ მოსკოვში რაც შეიძლება დროზე უნდა გაერკვნენ: ან აღიარონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ანდა ისინი სამუდამოდ დაივიწყონ, მათთან ერთად კი რუსეთის ჩრდილოეთი კავკასია.



### ექსპერტთა კომენტარები

*მოდესტ კოლეროვი: „სამართლიანობა მოგების საბუღალტრო დაანგარიშება როდია. თუ ჩვენ არ დავიცავთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებს, ჩვენს რუსეთელ მოქალაქეებს, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, მეტად საშიშ პრეცედენტს შევქმნით, რომელსაც ვერანაირი „მოგებით“ ვერ გაამართლებ. ჩვენ ვერ დავიცავთ საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყანას“.*

*ალექსანდრე სკაკოვი: „მთავარი მოგება — ნატოში საქართველოს არშესვლა: ალიანსის შემადგენლობაში არავინ მიიღებს ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიული კონფლიქტი აქვს თავის მეზობელთან. აღიარების შემთხვევაში სამშვიდობო ძალები, მაშინვე დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად, შეიძლება რუსეთის არმიის ნაწილებით შეიცვალოს, რომლებსაც მოქმედების თავისუფლება მაინც ექნებათ. რუსეთი მიიღებს მისთვის მეტად საჭირო ნავსადგურებს შავ ზღვაზე. და რაც მთავარია, რუსეთი მოახდენს თავისი მზადყოფნის დემონსტრირებას, დაიცვას როგორც თავისი მოქალაქეები, ისე საკუთარი ინტერესები.*

*საქართველო უთუოდ გავა დსთ-დან, რაც უკეთესიცაა: იგი თანამეგობრობაში უკვე კარგა ხანია „ტროას ცხენის“ როლს ასრულებს. დასავლეთში მზად უნდა იყვნენ ისტერიკისათვის, თუმცა რაიმე რეალური შედეგები არ იქნება, ჩვენს წინააღმდეგ სანქციებს არავინ შემოიღებს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მათ ქცევას კოსოვოს საკითხში.*

*შეიძლება ასეც ითქვას: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება არცთუ საუკეთესო გზაა, რადგან ბევრ პრობლემას წარმოშობს. მაგრამ მათი არაღიარება ბევრად უფრო საშიშია. სამწუხაროდ, სხვა არჩევანს არ გვიტოვებენ“.*

**მარინა პერევოზკინა**

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

**გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა თავისი სიმპათიები არ გაამჟღავნა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ისეთ ქვეყნებში როგორიც საქართველოა, ეს, უფრო ოპოზიციის პოტენციური ამომრჩევლები არიან**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ოლიგარქის დაბრუნება

**გუშინ საქართველოში დამთავრდა პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია. ქვეყანაში კვირის ბოლომდე დაბრუნებას აპირებს მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი – მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ჯერ კიდევ ვერ აძლევს მას, როგორც კანდიდატს, ხელშეუხებლობის გარანტიას. ამ საღამოს, ბოლოს და ბოლოს, უნდა აღდგეს მისი კუთვნილი ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობა.**

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის შვიდი კანდიდატი გაატარა რეგისტრაციაში. ესენი არიან: **ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია, „მომავლის პარტიის“ მეთაური გიორგი მაისაშვილი, „ახალ მემარჯვენეთა“ ლიდერი დავით გამყრელიძე, „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი და გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი ლევან გაჩეჩილაძე.**



სხვათა შორის, საპრეზიდენტო მარათონში ბადრი პატარკაციშვილის უშუალო მონაწილეობა კვლავაც სათუოა. მისი შტაბის წარმომადგენელმა ვალერი გელბახიანმა განაცხადა, რომ ბიზნესმენის თანამოაზრეებმა ხელისუფლებას მიმართეს მოთხოვნით, გასცეს მისი, როგორც კანდიდატის იმუნიტეტის პატივისცემის გარანტია. კანონის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემაჯამებელი შედეგების გამოქვეყნებამდე პრეზიდენტობის კანდიდატი ხელშეუხებლობით სარგებლობს. საქართველოს არჩევნებთან დაკავშირებით ეს დაახლოებით იანვრის დამლევამდე გაგრძელდება. მაგრამ კანონით გამონაკლისი დასაშვებია – „დანაშაულის ადგილას კანდიდატის დაკავების ან დანაშაულებრივ ქმედებათა დაუყოვნებლივი შეწყვეტის აუცილებლობის შემთხვევაში“.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მეთაურმა ლევან ბეჟაშვილმა განმარტა, რომ „კანდიდატ პატარკაციშვილს ცენტრალური საარჩევნო კომისია მხოლოდ იმ გარანტიებს მისცემს, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული“. როგორც მან თქვა, „კანდიდატის დაკავება, დაპატიმრება ან გაჩხრეკვა შესაძლებელია მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობით და გენერალური პროკურატურის შესაბამისი მიმართვის პასუხად“.

ბატონ პატარკაციშვილის შტაბში მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება ამ სიტუაციას განზრახ აჭიანურებს. „ხელისუფლება პასუხს არ იძლევა ჩვენს მიმართვაზე, სურს რა, რომ ჩვენი ლიდერი გაურკვევლობაში იყოს, საქართველოში არ დაბრუნდეს და არ მიეცეს შესაძლებლობა ნორმალურად აწარმოოს კამპანია“, – განაცხადეს შტაბში და მაინც, როგორც შევიტყვეთ, ბადრი პატარკაციშვილი უკვე პარასკევს აპირებს თბილისში ჩამოსვლას, რათა უშუალოდ ჩაება საპრეზიდენტო მარათონში.

ამ დროისათვის ტელეკომპანია „იმედი“, რომლის აქციების 51 პროცენტი ბატონ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის, ნამდვილად განაახლებს მაუწყებლობას, თუმცა, დროებითი სქემით. კომპანია ეთერში ჯერ კიდევ სამშაბათს უნდა გასულიყო, მაგრამ, როგორც მისმა პროდიუსერმა მაია თაბაგარმა აღნიშნა, მაუწყებლობის აღდგენის დროს ერთი დღე-ღამით გადაიწია. „გადავწყვიტეთ დაველოდებოდით სტაბილური მაუწყებლობისათვის მეტად საჭირო აპარატურის ნაწილის ჩამოტანას, რაც სამშაბათს დღისით მოხდება“, – განმარტა მან.

„იმედის“ პოლიტიკური პროგრამების დირექტორმა გიორგი თარგამაძემ გამოაცხადა, რომ ტელეკომპანია მაუწყებლობას დაიწყებს ოთხშაბათს 20 საათსა და 00 წუთზე, როცა ეთერში საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკა“ გავა. პირველ ხანებში ახალი ამბების გამოშვება ეთერში გავა ყოველ სამ საათში ერთხელ ადრინდელი ერთსაათიანი ინტერვალის ნაცვლად.

გიორგი თარგამაძის თქმით, „იმედის“ ტექნიკური პერსონალი აპარატურის აღსადგენად თითქმის სადღეღამისო რეჟიმით მუშაობს. მან აღნიშნა, რომ საეთერო სტუდია მთლიანად განადგურებულია, მოშლილია შიდა სატელეფონო ქსელი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტ კავშირი. „ისინი, ვინც ეს ჩაიდინა, იცოდნენ ეს საქმე, რადგან დარტყმა აპარატურის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს მიაყენეს“, – განაცხადა ბატონმა თარგამაძემ.

მან აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ არხის ხელმძღვანელობა ცდილობს სასწრაფოდ შეავსოს ვაკუუმი, რომელიც ტელეკომპანიაში წარმოიქმნა რამდენიმე ტელეწამყვანის წასვლით. უწინარეს ყოვლისა, ესენი არიან ინგა გრიგოლია და ეკა ხოფერია, რომლებსაც პოლიტიკური თოქ-შოუ „ღია ეთერი“ მიჰყავდათ და „იმედის“ სახედ ითვლებოდნენ. ტელეკომპანია დატოვა აგრეთვე საინფორმაციო პროგრამის ერთ-ერთმა წამყვანმა და ორმა ჟურნალისტმა. „იმედში“ ამტკიცებენ, რომ „ისინი მთავრობის მხარდამჭერმა ტელეარხებმა გადაიბირეს, შეპირდნენ რა უზარმაზარ ხელფასს“.

ახლა ეკა ხოფერია რადიო „უცნობის“ წამყვანია, ხოლო ინგა გრიგოლია თოქ-შოუს „პრაიმტაიმს“ გაუძღვება ხელისუფლებასთან დაახლოებულ არხზე „რუსთავი-2“. როგორც ქალბატონმა გრიგოლიამ განაცხადა, მან „იმედიდან“ წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ბადრი პატარკაციშვილი საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაება. „ამან შეიძლება რთულ მდგომარეობაში ჩამაყენოს როგორც დამოუკიდებელი ჟურნალისტი, პატარკაციშვილი ხომ დღემდე „იმედის“ მფლობელია“, – განმარტა ინგა გრიგოლიამ.

ოპოზიციის აზრით, ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მაუწყებლობის განახლების შემდეგაც შეზღუდოს „იმედის“ ზეგავლენა ამომრჩეველზე. მით უმეტეს, რომ ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებს, ეტყობა, აქვთ შიშის საფუძველი.

გამოკითხვის თანახმად, რომელიც თბილისის გავლენიანმა გაზეთმა „რეზონანსმა“ მოაწყო, მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი 20,4 პროცენტია, მეორე ადგილზეა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე – 16,4 პროცენტი, დანარჩენი პრეტენდენტები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან. თუმცა, ამ გამოკითხვაში საინტერესო სხვა რამ არის. 900 გამოკითხულიდან 27 პროცენტმა განაცხადა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტიათ, 13 პროცენტზე მეტმა კითხვაზე, თუ ვის მისცემენ ხმას, პასუხი არ გასცა, ხოლო 7 პროცენტმა არც ერთ კითხვაზე არ ისურვა პასუხის გაცემა. გამოდის, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა თავისი სიმპათიები არ გაამჟღავნა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ისეთ ქვეყნებში როგორიც საქართველოა, ეს, უფრო ოპოზიციის პოტენციური ამომრჩევლები არიან.

**ვლადიმერ ნოვიკოვი**

**Коммерсантъ**

◎ იშვიათი წიგნი

## რას გვიამბობენ უსახელო ქვითხუროები?




**„შენდობით მომიხსენიეთ“, – ასე ჰქვია ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის წიგნს, რომელიც საფლავის ლოდების ეპიტაფიებსა და უსახელო ქვითხუროების ნახელავზე მოგვითხრობს. მართალია, ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიება და შესწავლა კარგა ხანია მიმდინარეობს, ამის მიუხედავად, წიგნის ავტორებს საფლავის ლოდების პოეტიკის გაცნობის სურვილი არ ასვენებდათ.** მათ წიგნის რედაქტორთან და მხატვართან თენგიზ მირზაშვილთან ერთად ფეხდაფეხ შემოიარეს საქართველო და ანონიმურად მოღვაწე ეპიტაფისტების სულისკვეთება ჩვენამდე მოიტანეს: **„ღმერთო, მეც ღირსი გამხადე, სადაც სამოთხე შენია, იქ მაინც ნათლად მამყოფე, რადგან სიკვდილი ძნელია, მიწა, შენი ვარ უფალო, სიკვდილი სულის მტერია...“**

საფლავის ქვების ფერად ილუსტრაციებთან ერთად, მსგავს სტრიქონებს მრავლად ნახავთ ამ წიგნში. ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის შეგროვებულ ეპიტაფიებს მწერალი როსტომ ჩხეიძე ქვირფას მასალად მიიჩნევს მომავალი ცალკე წიგნად გამოსაცემი ანთოლოგიისთვის.

„შენდობით მომიხსენიეთ“ ხალხური ხელოვნების დაცვის და აღორძინების ცენტრის ეგიდით გამოიცა. ხოლო ფინანსური მხარდაჭერა ეკუთვნის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს, პროკრედიტ ბანკს, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდს, ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიას.

წიგნი, რომელიც ზურაბ ჟვანიას ხსოვნას ეძღვნება, დასტამბა გამომცემლობა „ბაკმმა“ (ბონდო მაცაბერიძე.

## შპს სამკურნალო პროფილაქტორული ცენტრი „სიცოცხლე“ აცხადებს კომერციულ კონკურსს ფართის იჯარით გაცემის მიზნით

**კონკურსზე იჯარით გაიცემა შენობის მთავარი ფასადის მხრიდან 1 (ერთიძ კვ. მ. ფართი ბანკომატის სათავსოსთვის.**

**საიჯარო პირობები:**

**აძ იჯარის ვადა ორი წელი.**

**ბძ მოიჯარე ყოველთვიურად გადაიხდის საიჯარო ქირას 250 (ორას ორმოცდაათძ ლარს.**

**გძ მოიჯარის მიერ აღებულ უნდა იქნას ნებართვა ბანკომატის სათავსოს გამოყოფაზე და სათანადო სამუშაოების შესრულებაზე შესაბამისი ორგანოებიდან. ასევე მოიჯარე იხდის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებს მოხმარებული რესურსებისა და დაკავებული ფართის ოდენობით.**

**დძ საწარმოს პრივატიზაციის შემთხვევაში საწარმოს მფლობელი უფლებამოსილია შეწყვიტოს აღნიშნული ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებაძ, ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გარეშე.**

**კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა:**

**კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და გადაიხდის მაქსიმალურ საიჯარო ქირას.**

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

**– განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესახებ.**

**– კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ.**

**– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.**

**– იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლი.**

**საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.**

**საკონკურსო კომისიის მისამართია: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №10, შპს ს.პ.ც. „სიცოცხლე“.**

**ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ტელ: 56-37-11.**

**კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 15 საათამდე. კონკურსი ჩატარდება განაცხადების მიღების დამთარების მომდევნო დღს 15 საათზე.**

**შპს სამკურნალო პროფილაქტორული ცენტრი**

№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

**ის სიცრუე, რომელიც ამ ჩემპიონთა ბაგეთაგან ამოვიდა, დიდ ვაჟას რომ მოესმინა, ალბათ ვერ მოითმენდა და იტყოდა: „იცრუა ზვიადაურმა და თავზე ლაფი დაისხა, აკადემიის სარბევად თოფ-იარაღი აისხა“... და იქვე გააგრძელებდა: „ვის გვერდით დადგა ჭკვათხელი, ცნობაზე რად არ არია? ცხვირიდან უნდა ვადინოთ ზვიადაურსა ძმარია!“**





## წერილი

# გამოიჩინეთ გულმოწყალება!

პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ამ დღეებში ძალზე ბევრი ადამიანი მიმართავს განცხადებითა და თხოვნით. მათ შორის ვარ მეც. ქალბატონო ნინო, ეგებ, თქვენ მაინც გამოიჩინოთ გულმოწყალება და შეამციროთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასური. ეს დიდი შეღავათი იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის, რომლის ფინანსური მდგომარეობა მძიმეა.

**თენგიზ თომაძე,**
კულტურის დამსახურებული მუშაკი

## ინფორმაცია

### აზერბაიჯანელებო, დაბრუნდით საქართველოში, თორემ თქვენს ხმებს გააყალბებენ

**საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანული ორგანიზაციის, „საქართველო ჩემი სამშობლოს“ თავმჯდომარე ალი ბაბაევი ქვეყნიდან გასულ საქართველოს აზერბაიჯანელ მოქალაქეებს 5 იანვრის არჩევნებში ხმის მისაცემად სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ამ მოწოდების საფუძველი აზერბაიჯანელთა ხმების მოსალოდნელი გაყალბებაა. ბაბაევი აღნიშნავს, რომ საარჩევნო სიებში რეგისტრირებულ 270 ათასამდე აზერბაიჯანელი ამომრჩევლის დიდი ნაწილი რეალურად საქართველოში არ ცხოვრობს.**

— საქართველოს აზერბაიჯანელები ყოველ არჩევნებში მოქმედი ხელისუფლების მხარდამჭერებად გვევლინებიან. ეს იმიტომ, რომ მათი ხმები ყოველთვის ფალსიფიკაციისთვის გამოიყენებოდა. ამტკიცებენ, რომ არჩევნებში მონაწილეობას 270 ათასი აზერბაიჯანელი მიიღებს, არადა მათგან 100-150 ათასი საერთოდ არ ცხოვრობს საქართველოში. ისინი სამუშაოდ აზერბაიჯანსა და თურქეთში იმყოფებიან, — აცხადებს ბაბაევი.

მისივე თქმით, იგი სისტემატურად ხვდება ამომრჩევლებს და აქვს ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანულ სოფლებში მოსახლეობას პასპორტები ჩამოართვეს.

— დაპირდნენ, რომ პირადობის მოწმობებით მათ უფასო ფქვილის ვაუჩერებს მისცემენ. დღეს ბევრს საკუთარი პირადობის დამადასტურებელი საბუთი ხელთ არ აქვს, ამბობენ, რომ ვიღაცას მისცეს. საბოლოოდ, მათი პასპორტებით ხმის მიცემას სხვები რამდენჯერმე განახორციელებენ. ეს გაყალბების ცნობილი მეთოდია, — განაცხადა ბაბაევმა.

იგი აზერბაიჯანელებს მოუწოდებს, „თვალები უნდა გაახილონ“ და მიხეილ სააკაშვილის მაგივრად „უფრო პატიოსანი“ კანდიდატები შეარჩიონ.

### ოპოზიციის მხარდამჭერებს არბევენ

**პრეზიდენტობის კანდიდატ ლევან გაჩეჩილაძის ახალციხის საარჩევნო შტაბის უფროსს ოლეგ სანდროშვილს კერძო მაღაზიის კარისა და ფანჯრის მინები ჩაუმსხვრიეს.**

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, შტაბის უფროსი მომხდარს პოლიტიკურ ზეწოლას უკავშირებს.

— ეს უბნის ბავშვების გაკეთებული არ არის, ჩემი და ჩემს გვერდით მდგომების შესაშინებლად გააკეთეს. ამ ყველაფერს წინ ჯერ გაფრთხილება, შემდეგ კი მუქარა უძღვოდა. ჩემს ახლობლებს, ნათესავებს ურეკავენ, აშინებენ, — განაცხადა სანდროშვილმა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ წარმომადგენლებთან საუბრისას.

მისივე თქმით, მის გარშემომყოფებზე ზეწოლა ორი ნოემბრის გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქციების შემდეგ დაიწყო.

— ახალციხიდან დიდი კოლონა გავიყვანე. ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ახალციხიდან მიტინგზე ამდენი ხალხი წავიდოდა. აქციის მონაწილეებზე ზეწოლა იმ დღიდანვე დაიწყო. ქალაქში დაბრუნების შემდეგ უმრავლესობამ ჩემთან ურთიერთობა ველარ გაბედა,—აცხადებს სანდროშვილი.

### ახალგაზრდული შტაბის ხელმძღვანელები თუ შსს-ს „ნასეტკები“?

**არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტი“ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ ახალგაზრდებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საეჭვო თანამშრომლობაში ადანაშაულებს. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელმა დავით დალაქიშვილმა განაცხადა, თვითმმართველობის მხრიდან სისხლიანი მმართველის მხარდაჭერა გასაკვირი არ არის, რადგან სააკაშვილის მხარდამჭერი ახალგაზრდული შტაბის ხელმძღვანელები შინაგან საქმეთა სამინისტროს „ნასეტკები“ არიან.**

— უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრები ყოველთვის „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები იყვნენ, დღეს მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ამ მხარდაჭერას ოფიციალური სახე მისცეს. შტაბის ხელმძღვანელი, გიორგი ავალიანი რევოლუციის პერიოდში სააკაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, ხოლო ირაკლი მეგრელიშვილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი იყო, — განაცხადა დალაქიშვილმა.

### ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის დავალიანებები ჩამოიწერება

**ელექტროენერგიის დავალიანება 2007 წლის პირველი მარტის მდგომარეობით თბილისში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს აღარ მოეთხოვებათ.**

ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა.

მისივე განმარტებით, შეღავათი საქართველოს რეგიონებში აბსოლუტურად ყველა კატეგორიის მომხმარებელზე გავრცელდება.

— რეგიონებში 2007 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით არსებული დავალიანება აღარ მოეთხოვებათ. გაზის ნაწილში კი თბილისში აბსოლუტურად ყველას 2006 წლის პირველი მაისის მდგომარეობით არსებული დავალიანება ჩამოეწერება, — განაცხადა ხეთაგურმა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## გულის ბუხარი

# შემცდარხარ, ზვიადაურო!..

## ოლიმპიურმა ჩემპიონებმა უკადრებელი იკადრეს

**მართალია, მოგვიანებით, მაგრამ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს არ შემიძლია არ გავუზიარო ის გულისტკივილი, რომელიც ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა გიორგი ასანიძემ და ზურაბ ზვიადაურმა მომაყენეს. მათ ზურგი შეაქციეს საქვეყნოდ აღიარებულ, სახელგანთქმულ, უამრავი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების აღმზრდელ სპორტის აკადემიას და დადგნენ იმ მინისტრების გვერდით, რომლებმაც წირვა გამოუყვანეს როგორც სპორტის აკადემიას, ასევე განათლებას, მეცნიერებას, ხელოვნებას, კულტურას და, საერთოდ, ეროვნულ ფასეულობებს.**

მე, როგორც ერთი რიგითი ქართველი ასანიძის და ზვიადაურის უზადო სპორტულმა ტექნიკამ და ვაჟკაცურმა შემართებამ იმ ოლიმპიადის დღეებში ისე აღმაფრთოვანა, რომ სიხარულისგან ლამის ინფარქტმა მიმსხვერპლა. სამწუხაროდ, ნაადრევი აღმოჩნდა ჩემი აღტაცება.

მათ სინდისს, ვაჟკაცობას უღალატეს და ისედაც დაცემულ, ცოცხალმკვდარ საგანმანათლებლო სისტემას, კულტურას, მეცნიერებას, სპორტს გულში ლახვარი ჩასცეს. ლომაიებისა და გაბაშვილების საამებლად და მხარდასაჭერად, როგორც იტყვიან, აჭრიამულდნენ: არ ვარგა სპორტის აკადემია, მას ჩვენთვის არაფერი უსწავლებია და არაფერი გაუკეთებიაო!!! არადა, ერმა და ბერმა ხომ იცის, რამდენი სასახელო, მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენი აღუზარდა სპორტის აკადემიამ საქართველოს. მათ ისეთი ტყუილი იკადრეს, რომელშიც წვეთი სიმართლეც არ ურევია.



მინდა შევახსენო ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებს, რომ თუ სპორტსმენის უკან არ დგას კეთილშობილი, ვაჟკაცი, გულისხმიერი, აღმზრდელთა ღირსებების დამფასებელი, მშობელი ხალხის, ერის პატივისმცემელი და უანგარო პიროვნება, მათი ჩემპიონობა ნულის ტოლფასია. ის სიცრუე, რომელიც ამ ჩემპიონთა ბაგეთაგან ამოვიდა, დიდ ვაჟას რომ მოესმინა, ალბათ ვერ მოითმენდა და იტყოდა: **„იცრუა ზვიადაურმა და თავზე ლაფი დაისხა, აკადემიის სარბევად თოფ-იარაღი აისხა“... და იქვე გააგრძელებდა: „ვის გვერდით დადგა ჭკვათხელი, ცნობაზე რად არ არია? ცხვირიდან უნდა ვადინოთ ზვიადაურსა ძმარია!“**

როგორც ჩანს, გულშემატკივრებმა, სპორტის მოყვარულებმა, განსაკუთრებით ხელისუფლებამ, გადააჭარბეს ამ ახალგაზრდების დამსახურების შეფასებაში, ისინი ნამეტანი გაანებივრეს, გააპოლიტიკოსეს, ბიზნესმენებმა ფულით სავსე ტომრები, ბინები თუ ავტომობილები უფეშქაშეს, ასანიძეს კი, მაგალითად, პარლამენტარის რბილი სავარძელიც უბოძეს მაშინ, როდესაც მათზე ბევრად უფრო ტიტულოვანი ოლიმპიელები, მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონები უყურადღებოდ მიატოვეს. ბევრ მათგანს დღეს დიდი გაჭირვებით გააქვს თავი.

ზურაბ ზვიადაურმა და გიორგი ასანიძემ საქართველოში თავი ერთადერთ ოლიმპიურ ჩემპიონებად რომ არ წარმოიდგინონ, ალბათ, ყველა თუ არა, ზოგიერთი ცნობილი ჩემპიონი მაინც უნდა შევახსენოთ: **რაფაელ ჩიმიშკიანი** — ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1952 წ.ძ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და 11 გზის რეკორდსმენი **დიმიტრი შანიძე** — 1968 წლის მეხიკოსა და 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი; **კახი კახიაშვილი** — ბარსელონის (1992 წ.ძ, ატლანტის (1996 წ.ძ, სიდნეის (2000 წ.ძ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი; **შოთა ჩოჩიშვილი** — მიუნხენის ოლიმ-



პიური თამაშების ჩემპიონი (1972 წ.ძ, 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის პრიზიორი, საქართველოს ორგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში; **შოთა ხაბარელი** — 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი გუნდურ ჭიდაობაში; **დავით ხახალეიშვილი** — 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი. აღარაფერს ვამბობთ საყოველთაოდ აღიარებულ სხვა სპორტსმენებზე, მარტო **ლევან თედიაშვილს** იმდენი ჯილდო აქვს მოხვეჭილი, რომ ასანიძეს მათი აწევაც გაუჭირდებოდა.

ასე რომ, ბატონო ოლიმპიურო ჩემპიონებო, თქვენამდე საქართველოს ბევრად უფრო სახელმოხვეჭილი სპორტსმენები ჰყავდა, მაგრამ ის, რაც თქვენ იკადრეთ, მათ ძილშიაც არ დაესიზმრებოდათ, ამიტომ დარჩნენ ისინი ერისა და ქვეყნის საყვარელ, სათაყვანებელ ჩემპიონებად, ნამდვილ გმირებად.

**ლევან ბაღდავაძე,**
პროფესორი

# განცხადება

**სააქციო საზოგადოება „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია ატარებს აუქციონს საზოგადოების ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთების გაყიდვის მიზნით.** აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება მიწის ნაკვეთი ფართით 815 კვ. მეტრი, სს „ელვას“ ტერიტორიის სამხრეთ მხარეს, მიწის ნაკვეთი ფართით 605 კვ. მეტრი სს „ელვას“ ტერიტორიის დასავლეთ მხარეს და მიწის ნაკვეთი ფართით 768 კვ. მეტრი, სს „ელვას“ ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან; მიწის ნაკვეთი ფართით 273 კვ. მეტრი, სს „ელვას“ ეზოში. აღნიშნული ფართების ერთი კვ. მეტრის საწყისი ფასია 85 ლარი. აუქციონზე ვაჭრობისას დაცული უნდა იქნას ფასის მატების ბიჯი ფასის 5 პროცენტის ოდენობით. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 11 იანვარს დღის 12 საათზე, სს „ელვას“ ტერიტორიაზე, მისამართი ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №5. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში წარადგენს: განცხადებას; „ბე“-ს ობიექტის ღირებულების 10 პროცენტის გადახდის ქვითარს; პირადობის დამადასტურებელ მოწმობას; მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით. აუქციონზე მონაწილეთა განცხადებები მიიღება ყოველდღე 11 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში მიმდინარე წლის 10 იანვრამდე. თუ აუქციონის მონაწილე არ გამოცხადდა აუქციონზე, მას „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა არ უბრუნდება. ობიექტის გაცნობა და დამატებითი ცნობების მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია**

1982 წლის 13 დეკემბერს ნოდარ ახალკაცის ეპოქის თბილისის „დინამოს“ რღვევა დაიწყო. არა, აქ არც ვარსკვლავურ ავადმყოფობასთან გვაქვს საქმე და არც ჩვენი საამაყო გუნდის ბიოგრაფიაში პერიოდულად განვითარებულ სამარცხვინო მოვლენებთან, ამა თუ იმ მწვრთნელისა და ფეხბურთელის მოკვეთით რომ მთავრდებოდა



### ◉ ორბიტაზე



## შუმახერი — ტაქსისტი

**სახელგანთქმულმა გერმანელმა ავტომრბოლმა მიხაელ შუმახერმა თავის მრავალ საპატიო წოდებას (მათ შორის შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონისასაც კიდევ ერთი ტიტული მიუმატა — გერმანიის ყველაზე სწრაფი ტაქსისიტი. ეს ერთი სასაცილო შემთხვევის გამო მოხდა. ის ოჯახთან ერთად აეროპორტისკენ მიემგზავრებოდა, ბუნებრივია, აგვიანდებოდა. სახელოვანმა პილოტმა გამოსავალი მოძებნა — მან ტაქსის მძღოლს ადგილი გაუცვალა და აეროპორტისკენ გაქანდა.**

„წითელმა ბარონმა“, ისევე, როგორც ლიუკ ბესონის ცნობილ ფილმში „ტაქსი“, პედალი ბოლომდე ჩაიყვანა და უსწრაფესად მივიდა დანიშნულების პუნქტამდე, თანაც დროზე.

„მგზავრის სავარძელში ჯდომა ჩემთვის ძალზე უცნაური იყო, მაგრამ მანქანა შუმახერს რომ მიჰყავდა, გადასარევი იყო“, — განუცხადა ტაქსისტმა ჟურნალისტებს.

იმის გარდა, რომ ტაქსისტმა შუმახერის კამპანიაში დიდი სიამოვნება მიიღო, კარგადაც დასაჩუქრდა —მას შუმახერმა 100 ევრო აჩუქა, 60 ევროს გარდა, რაც ტაქსით მგზავრობისთვის გადაიხადა.

## ძვირადღირებული ხუმრობა

**მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მეგოლფის ტაიგერ ვუდსის ცოლმა ელინ ნორდგრენმა 180 ათასი დოლარი მიიღო ირლანდიური ჟურნალიდან Dubliner იქ გამოქვეყნებული მისი გაშიშვლებული ყალბი ფოტოსურათისთვის. როგორც სასამართლომ გადაწყვიტა, ასეთი დიდი ფული ჯარიმის გარდა, რედაქცია მოვალეა, ქალბატონს ოფიციალურად მოუხადოს ბოდიში.**

შეგახსენებთ, რომ სტატია „გარყვნილების თასი“ წლინახევრის წინათ გამოქვეყნდა. მას თან ერთვოდა ფოტოსურათიც, რომელზეც ტაიგერის კეთილსინდისიერი მეუღლის გამოსახულება დამონტაჟებული იყო უცნობი ნახევრადშიშველი მოდელის სურათზე. თუმცა ჟურნალის რედაქტორმა ბოდიში მოიხადა, მაგრამ თან დაამატა, რომ ეს უწყინარი ხუმრობა იყო.

როგორც ამბობენ, სინამდვილეში ფოტოსურათზე გამოსახული იყო „პლეიბოის“ მოდელი კიმბერლი ჰაიოტი და ის ფოტოშოპით დაამუშავეს.



### ◉ ჩემპიონთა ლიგა

# სადაც გინდა, იქ იბრძოლე

**„ლივერპული“ პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში „რედინგთან“ დამარცხდა, თუმცა ბენიტესის გუნდის მრავალი ქომაგი დარწმუნებული იყო, რომ მერსისაიდული კლუბი ჩემპიონთა ლიგის მორიგი ეტაპის საგზურს მაინც მოიპოვებდა.**



ასეც მოხდა — ჯგუფური რაუნდის ჩაფლავებული პირველი წრის შემდეგ, „წითლებმა“ ზედიზედ მესამე მატჩი მარსელში მოიგეს — 4:0 (აღნიშნული შეხვედრების საერთო შედეგია 16:1!ძ და 21 დეკემბერს დანიშნულ კენჭისყრაზე მორიგ მეტოქეს ელიან.

**სამშაბათის რაუნდის სრული შედეგები:**

*__„ა“ ჯგუფი.__ „მარსელი“ — „ლივერპული“ 0:4 (ჯერარდი, ტორესი, კიუიტი, ბაბელიძ; „პორტუ“ — „ბეშიქთაში“ 2: 0 (გონსალესი, კვარეჟმაძ.*

*„პორტუ“ — 11, „ლივერპული“ — 10, „მარსელი“ — 7, „ბეშიქთაში“ — 6 ქულა.*

*__„ბ“ ჯგუფი.__ „ჩელსი“ — „ვალენსია“ 0:0; „შალკე“ — „რუსენბორგი“ 3:1 (ასამოა, რაფინია, კურანი; კონეძ.*

*„ჩელსი“ — 12, „შალკე“ — 8, „რუსენბორგი“ — 7, „ვალენსია“ — 5 ქულა.*

*__„გ“ ჯგუფი.__ „რეალი“ — „ლაციო“ 3:1(ბაპტისტა, რაული, რობინიო; პანდევიძ; „ოლიმპიაკოსი“ — „ვერდერი“ 3:0 (სტოლტიდისი —2, კოვაჩევიჩი).*

*„რეალი“, „ოლიმპიაკოსი“ — 11-11, „ვერდერი“ — 6, „ლაციო“ — 5 ქულა.*

### ◉ მარადიული ტკივილი

# უკვდავების ბინადარი



1982 წლის 13 დეკემბერს ნოდარ ახალკაცის ეპოქის თბილისის „დინამოს“ რღვევა დაიწყო. არა, აქ არც ვარსკვლავურ ავადმყოფობასთან გვაქვს საქმე და არც ჩვენი საამაყო გუნდის ბიოგრაფიაში პერიოდულად განვითარებულ სამარცხვინო მოვლენებთან, ამა თუ იმ მწვრთნელისა და ფეხბურთელის მოკვეთით რომ მთავრდებოდა.

25 წელიწადი გავიდა იმ საბედისწერო დღიდან, როცა ვიტალი დარასელია დაიღუპა. აფხაზეთის მადლიან მიწაზე ფეხადგმულ და დაოსტატებულ ნახევარმცველს გულშემატკივარი, უმთავრესად, დიუსელდორფში გატანილი ისტორიული გოლის გამო ეთაყვანებოდა, თუმცა ვინც მას იცნობდა, უდიდეს პატივს პიროვნული ხიბლისა და თავაზიანობის გამოც სცემდა, ასე რომ გაიშვიათდა თანამედროვე ქართულ სპორტში.

ბევრს უკვირდა — საიდან ჰქონდა ოჩამჩირელ ჭაბუკს იმდენი ენერგია და გამძლეობა, ტალანტებით დახუნძლული თაობის პარტნიორთაგანაც კი რომ გამოარჩევდა. პასუხი მარტივია: ობლობაში გაზრდილმა კარგად იცოდა შრომის ყადრი და „შავ სამუშაოს“ არც მწვანე მინდორზე თაკილობდა.

სამაგალითო მეოჯახემ შთამომავლობაც ღირსეული დატოვა. ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი ვიტალი დარასელია-უმცროსი დღესაც გვარწმუნებს გენების უპირატესობაში და გვამშვიდებს: სიცოცხლე გრძელდება!

**გია პლატონიშვილი**

### ◉ ფაქტი

# რიტორიკაში ბუშს აჯობა

**ინგლისური ენის სიწმინდისათვის გაშლილი კამპანიის ორგანიზატორებმა თავიანთი მთავარი პრიზი „ცარიელი ყბედობა“ (Foot in Mouth) მიანიჭა ფეხბურთში ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს სტივ მაკლა-**



**რენს. ასეთი „საპატიო“ პრიზი ფეხბურთელთა ყოფილმა დამრიგებელმა დაიმსახურა იმ დახასიათებისთვის, ინგლისის ნაკრების ფორვარდს უეინ რუნის რომ მისცა: „ის საერთოდ ხომ გამოუცდელია, მაგრამ, მეორე მხრივ, ის გამოცდილია იმ პლანში, რაშიც მან გაიარა“.**

პირველი პრიზი ინგლისის ნაკრების ყოფილ დამრიგებელს ერგო აშშ პრეზიდენტთან დაძაბულ ბრძოლაში. ჯორჯ ბუშმა მეორე ადგილი დაიკავა ფრაზისთვის: „ყველაფერი, რის თქმაც თქვენთვის შემიძლია, ეს იგივეა, როცა გუბერნატორი მირეკავს, მე კი ყურმილს ვიღებ“.

კამპანიის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა განაცხადა: „ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ბუშის დაჯილდოვება არც თუ ძალზე ორიგინალურია, ვინაიდან ის ამგვარად გამოირჩევა თითქმის ყოველ დღეს“.

პრიზი „ცარიელი ყბედობა“ უკვე 29-ჯერ მიენიჭა. სტივ მაკლარენი აღმოჩნდა ადრინდელი ლაურეატების — ნაომი კემპბელის, რიჩარდ გირის და აშშ-ს ყოფილი თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის კამპანიაში.

### ◉ გამოიცა

# გურამ საღარაძის „მემკვიდრეობა“

**მწერალმა ნუგზარ შატაიძემ თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონ გურამ საღარაძეზე დაწერა: „ვხედავ, როგორ დგას ხალიჩაზე ოდნავ წინ წახრილი, მკლავებგაშლილი, ასაფეთქებლად გამზადებული მისი მოხდენილი სხეული ზამბარასავით შეკუმშულა, მეტოქეს ავაზას მსუბუქი ნაბიჯით უახლოვდება, ფრთხილად ათვალიერებს, მის ყოველ მოძრაობას ყურადღებით აფასებს, სახეზე ეტყობა, რომ გუნებაში რაღაცას ანგარიშობს...“**

გამოჩენილმა სპორტსმენმა გურამ საღარაძემ ჭიდაობისა და ფალავანთა დიდი თემის მიმართ თავისი განსაკუთრებული სიყვარული ახლახან გამოცემულ შესანიშნავ წიგნში „მემკვიდრეობა“ (რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**ძ ჩააქსოვა. უშუალოდაა გადმოცემული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელის, ამჟამად საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, **ფილას** ორდენოსნის გურამ საღარაძის ნანახი და განცდილი საერთაშორისო სარბიელზე. დიდი რუდუნებითაა აღწერილი ჭიდაობის ისტორია, სტატისტიკა, სახალისო და საინტერესო ამბები, დიდი გამარჯვებების ნიუანსები, ამაგდარი მწვრთნელების, ფედერაციის გულმოდგინე თავკაცების ცხოვრება, თბილისის ტურნირები, ქართული ჭიდაობა და საქართველოს ულამაზესი კუთხეების: რაჭის, კახეთის, ქართლის, აჭარის, იმერეთის, გურიის, აფხაზეთის, სამეგრელოს თუ თბილისის უბნების გამოჩენილი ფალავნების ნაღვაწი.



„მემკვიდრეობის“ გამოცემით გურამსაღარაძემ კარგი საქმე გააკეთა. მსოფლიო ჩემპიონების ნააზრევი და მათი მდიდარი სპორტული ცხოვრების გამოცდილების გაზიარება ნამდვილად სჭირდება ახალგაზრდა თაობას.

**გაბრიელ ბარჯაძე**

№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

● ჩვენს ქვეყანაში უფლებების შელახვის მრავალი ფაქტი არსებობს, ამის მთავარ გამოხატულებად „საზოგადოებრივი დარბაზის“ წევრები პოლიტპატიმრების არსებობას, ირაკლი ბათიაშვილს კი მთავარ პოლიტპატიმრად მიიჩნევენ



◎ ბელადიც ხუმრობდა ხოლმე

# ისტორიის ქარი

### რეიზენი

**რეიზენი სტალინის საყვარელი მომღერალი იყო. იგი სტალინმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში შენიშნა და ლენინგრადიდან მოსკოვში გადმოაყვანინა. რეიზენი გამოდიოდა ყველა სამთავრობო კონცერტის დროს.**

ერთხელ მას პოსკრებიშევმა დაურეკა: – ამხანაგო რეიზენ, თქვენ დღეს უნდა იმღეროთ, გამოგიგზავნით მანქანას.

– არა, იცით, ვერ შევძლებ: მე დამითხოვეს დიდი თეატრიდან.

პოსრკრებიშევმა იცოდა: სტალინი შენიშნავდა, რომ კონცერტზე რეიზენი არ გამოსულა.

– ჩვენ მაინც გამოგიგზავნით მანქანას.

... კრემლის კაბინეტში წინ და უკან დადიოდა სტალინი. მის უკან კი იდგა ბესპალოვი. როცა კაბინეტში რეიზენი შევიდა, სტალინმა იკითხა:



– ვინ არის ეს?

– რეიზენი, ამხანაგო სტალინ.

– საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი?

– დიახ, ამხანაგო სტალინ.

– შენ კი ვინ ხარ?

– ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ბესპალოვი.

– ეს ვინ არის?

– საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მარკ რეიზენი!

– დიდი თეატრის სოლისტი?

– ნამდვილად ასეა, ამხანაგო სტალინ.

– შენ ვინ ხარ?

– ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ბესპალოვი!

– ეს კაცი კი ვინ არის?

– საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი მარკ რეიზენი!

– ეს სოლისტია, შენ კი – ნეხვი! მოუსვი ახლავე აქედან.

### „ივან სუსანინი“

**დიდ თეატრში გლინკას ოპერის „ივან სუსანინის“ ახალი დადგმისთვის ემზადებოდნენ. ოპერა მოისმინეს კომისიის წევრებმა ბოლშაკოვის მეთაურობით და გადაწყვიტეს, რომ უნდა მოეხსნათ ფინალი „იდიდე, რუსო ხალხო!“ როგორც ზედმეტად ეკლესიური და პატრიარქალური...**

ამის შესახებ მოახსენეს სტალინს.

– ჩვენ კი სხვაგვარად მოვიქცეთ, – თქვა სტალინმა, – ფინალი დავტოვოთ, ბოლშაკოვი კი მოვხსნათ.

### იძულებითი გაჩერება

**სხვადასხვა ადამიანს, რომლებსაც უნახავთ ფილმები სტალინთან ერთად, მიამბეს მრავალი ეპიზოდი ამ თემაზე. აი, ერთი მათგანი.**

ვუყურებდით „მატარებელი აღმოსავლეთისკენ მიდის“. გულახდილად რომ ვთქვათ, დიდი არაფერი ფილმია: მიდის მატარებელი, ჩერდება...

– ეს რა სადგურია? – იკითხა სტალინმა.

– დემიანოვკა.

– ჰოდა, აქ ჩამოვალ კიდეც, – თქვა სტალინმა და გავიდა დარბაზიდან.

### „დაუვიწყარი 1919“

**ამ ფილმის სამთავრობო ჩვენების შემდეგ ყველა ელოდა, თუ რას იტყოდა სტალინი. მაგრამ იგი დუმდა, და მხოლოდ დარბაზიდან გამოსვლისას ჩაილაპარაკა:**

– ძალზე ბევრი შუქია!

ფილმის შემქმნელებმა სთხოვეს ბერიას, განემარტა ამ სიტყვების არსი.

– ორი მზე არ არსებობს! – თქვა ბერიამ.

ფილმში ხშირად შეხვდებოდით კადრებს, რომლებზეც ერთდროულად იყვნენ ასახული ლენინი და სტალინი, ჰოდა, მოუწიათ ამოეჭრათ იმ კადრების ნაწილი, რომლებშიც ლენინი ფიგურირებდა. თუმცა სტალინმა, ალბათ, სულ სხვა რამ იგულისხმა: ზედმეტი პარადულობა, რეალობისაგან მოწყვეტა...

### მწერლები

**სტალინს ხშირად უთქვამს: მხატვრული ნაწარმოებისთვის განაჩენის გამოტანა არ შეიძლება, მის შესახებ მხოლოდ უნდა იკამათო.**

... როცა იქმნებოდა გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელ“, სტალინმა თქვა, რომ ეს იყო მწერალთა კავშირის გამომცემლობა და ახლა პუშკინს და ტოლსტოის ველარსად გამოსცემდნენ. საჭიროა კიდევ ერთი გამომცემლობის დაარსება. ასე შეიქმნა კიდეც გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“.

* * *

... პარტიულ მუშაკს პოლიკარპოვს აცნობეს, რომ უპირებდნენ სამუშაოდ გაგზავნას მწერალთა კავშირში პასუხისმგებელი მდივნის პოსტზე. პოლიკარპოვი შეწუხდა:

– მე დაჩვეული ვარ მუშაობას ნორმალურ ადამიანებთან და არა მწერლებთან – ისინი ხომ ლოთები და სრულიად უმართავი ხალხია...

როცა ყოველივე ეს სტალინს მოახსენეს, მან თქვა:

– ამხანაგ პოლიკარპოვს გადაეცით, რომ მე სხვა მწერლები არ მყავანან.

* * *

ირაკლი ანდრონიკოვი ძალზე მარჯვედ ბაძავდა სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეს, შეეძლო სტალინის კოპირებაც. როცა სტალინმა ეს შეიტყო, სთხოვა ანდრონიკოვს, გამაჯავრეო.

– თქვენზე ამას ვერ გავბედავ! – თქვა ანდრონიკოვმა და ხელით გააკეთა ჟესტი, თითქოს ჩიბუხი ეჭირა.

თარგმნა

**ზაზა ბეჟანიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. „სრ“ № 243.

◎ „საზოგადოებრივი დარბაზი“

# ახალი ინიციატივა ირაკლი ბათიაშვილის გასათავისუფლებლად

**1948 წლის 10 დეკემბერს მიიღეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მას შემდეგ ამ დღეს გაეროს ყველა წევრი ქვეყანა ზეიმობს. განსაკუთრებულად ზეიმობენ პოლიტპატიმრები.**

წლეულს, გაერომ, მის წევრ ყველა ქვეყანას და მათ შორის საქართველოსაც, კონკრეტული თხოვნით მიმართა – გასწიონ ადამიანთა მთავარი ღირებულებების პროპაგანდა, ადამიანებს განემარტოთ საკუთარი უფლება-მოვალეობები და პრობლემების შემთხვევაში იცოდნენ თავდაცვის საშუალებების შესახებ.

პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის „საზოგადოებრივი დარბაზის“ ოფისში, ამავე დარბაზის წევრებმა დავით კოლუაშვილმა, ლია მუხაშავრიამ და პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ პრესკონფერენცია გამართეს.

ადვოკატი ლია მუხაშავრია წინასაარჩევნოდ პრეზიდენტობის კანდიდატებს ურჩევს, საკუთარ პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ადამიანის ძირეული უფლებების დაცვას, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი უნდა შეპირდეს მოსახლეობას, რომ აღიარებს და დაიცავს გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ევროპის საერთაშორისო კონვენციას, ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ მოვალეობებს.

თითოეული ადამიანის უფლებებზე ზრუნვა ერთ-ერთი საუკეთესო კრიტერიუმი იქნებოდა, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები 5 იანვარს მომავალ პრეზიდენტს შეარჩევდნენ.

ჩვენს ქვეყანაში უფლებების შელახვის მრავალი ფაქტი არსებობს, ამის მთავარ გამოხატულებად „საზოგადოებრივი დარბაზის“ წევრები პოლიტპატიმრების არსებობას, ირაკლი ბათიაშვილს კი მთავარ პოლიტპატიმრად მიიჩნევენ.

პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ საზოგადოებას შესთავაზა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს წერილს ირაკლი ბათიაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით. საინიციატივო ჯგუფის წევრები ითანამშრომლებენ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატთან, შეაგროვებენ ხელმოწერებს და პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელს ამ შეწყალების წერილს გაუგზავნიან. პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ ამ საკითხზე პრეზიდენტობის შვიდივე კანდიდატი ერთსულოვანი უნდა იყოს.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დღეს, „საზოგადოებრივი დარბაზის“ წევრებმა საზოგადოებას მოუწოდეს ინიციატივისაკენ, რათა ხალხმა შუამავლობა იკისროს პოლიტიკურ პატიმარსა და ხელისუფლებას შორის.

**თამარ ბუზალაძე**

# განცხადება

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად**

1. სს ი.პ. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტზე“ უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის შენობის კედელზე არსებული 302,04 კვ. მეტრი ფართი გაიცემა იჯარის უფლებით, საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 900 აშშ დლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ. შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 429,7 აშშ დოლარი), იჯარის ვადაა 10 წელი.

„ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 2275 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

ა) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტზე სარეკლამო დაფის მოწყობა;

ბ) ინფორმაციის წარმოდგენა „მეიჯარესთან“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ;

2. სს ი.პ. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტზე“ უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის შენობის სახურავზე არსებული 608,0 კვ. მეტრი ფართი გაიცემა იჯარის უფლებით, საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 11000 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ. შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 838,69 აშშ დოლარი), იჯარის ვადაა 10 წელი.

„ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 2750 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

ა) იჯარის უფლებით გასაცემ ფართობზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;

ბ) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტზე სარეკლამო დაფის მოწყობა;

გ) ინფორმაციის წარმოდგენა „მეიჯარესთან“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

კონკურსი მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომ ელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებული საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი);

გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) იურიდიული პირები, დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებო დოკუმენტაციასა და წესდების ასლს.

საიჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის გამარჯვებული

კონკურსში გამარჯვებული წლიურ საიჯარო ქირას იხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველთვიურად (თანაბარწილად).

საჯარიმო სანქციები:

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ: ა) საიჯარო ქირის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში – 0,1 პროცენტი. დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ბ) სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის – კონკურსის შედეგებით დადგენილ წლიურ საიჯარო ქირის ოდენობას.

„ბე“-ს გადახდა ხდება: „თი-ბი-სი“ ბანკი, სკ 211349192, ა/ანგარიში 3408001/პუდ, ბანკის კოდი 220101830.

კონკურსი ჩატარდება 2008 წლის „12“ იანვარს 15 საათზე.

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის „13“ დეკემბრიდან 2008 წლის „120“ იანვრის ჩათვლით 10 საათიდან 14:30 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველი სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარ კრიტერიუმად განისაზღვრება კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა.

დამატებითი ცნობებისათვის მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, იურიდიული განყოფილება (ტელ: 36-52-03).

№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

# პანორამა

● „გამცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა დგეთ და ექიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“



◎ სულიერება

## მოციქული ანდრია პირველწოდებული



**13 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენებს ანდრია პირველწოდებულს, რომელიც ითვლება საქართველოს განმანათლებლად სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად.**

**ცნობილია, რომ მოციქულნი ერთბაშად არ შედგომიან თავის სამოციქულო მსახურებას.**

... სახარებიდან ვიცით, რომ ძმები ანდრია და სიმონ-პეტრეც რაღაცა დროით თავის ოჯახს და თავის ჩვეულ სამუშაოს მებადურობას დაუბრუნდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ანდრიამ, რომელიც სხვა მოციქულებზე ადრე გაჰყვა უფალს, პირველწოდებულის სახელი მიიღო. იგი ქრისტესთან მთელი მისი ცხოვრების მანძილზე იმყოფებოდა; სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ წმინდა ანდრიას წილად ხვდა შავი ზღვისპირა ქვეყნებში ექადაგა, მათ შორის საქართველოში.

საბერძნეთის მმართველმა ბრძანა წმინდა ანდრია ჯვარს ეცვათ ისე, რომ დიდხანს ეტანჯა. ჯვარზე დაკიდული ანდრია მოციქული განუწყვეტლივ ლოცულობდა... ის აღესრულა მოწამეობრივად ქრისტეშობიდან 62 წელს.

საზეიმო წირვა-ლოცვას სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღავლინებს.

## ვახტანგ გორგასლის მადლი



**13 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდა კეთილმსახურ მეფეს ვახტანგ გორგასალს იხსენებს; დიდ მეფედ წოდებული ვახტანგ გორგასალი თხუთმეტი წლის იყო, როცა საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა, ამ დროს ქართლი, ერთი მხრივ, სპარსეთის აგრესიას განიცდიდა, ხოლო მეორე მხრივ, ოსთა შემოსევებისაგან იყო გამწარებული. არც დასავლეთ საქართველოს ადგა უკეთესი დღე საბერძნეთისგან...**

წმინდმა ვახტანგმა სამეფო ტახტზე ასვლისთანავე შეკრიბა ქვეშევრდომები და 15 წლის გვირგვინოსანმა ჯერ ოსთა ჯარი დაამარცხა, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს ციხესიმაგრეებიდან ბერძნებიც განდევნა.

... გასაოცარი იყო მეფე ვახტანგის სარწმუნოება, სიბრძნე და ფიზიკური სიძლიერე. მას შეეძლო ქვეყნის საკეთილდღეოდ უდიდესი სიდინჯის გამოჩენაც და გაქცეული ირმის ხელით შეპყრობაც. მის საომარ მუზარადზე წინ მგელი იყო გამოსახული, უკან კი — ლომი; ამიტომაც ეწოდა მას ზედსახელად „გორგასარი“ (გორგასალი)ძ. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძვლის ჩაყრა. წმინდა ვახტანგმა ააშენა იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტერი, საქართველოში კი უამრავი ციხე-კოშკი და ეკლესია-მონასტერი.

მეფემ საქართველოს დღევანდელ დედაქალაქ თბილისს ჩაუყარა საფუძველი.

... საქართველოს დასაცავად უთანასწორო ბრძოლაში სპარსელებთან მეფე ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა... სიკვდილის წინ მან თავისთან მოიხმო კათოლიკოსი, მეუღლე, შვილები, წარჩინებულნი და უთხრა: „გამცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა დგეთ და ექიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“.

მთელი საქართველო გლოვობდა ქრისტესთვის აღსრულებულ მეფეს, უჯარმიდან მცხეთაში გადაასვენეს ქრისტესგან გვირგვინოსანი, მის მიერ აგებულ სვეტიცხოველში დაკრძალეს დიდი პატივით და გულზე თავისი ზომის ლოდი დაადეს...

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II ლოცვა-კურთხევით სიონის საკათედრო ტაძარს მიუშენდა წმინდა მეფის ვახტანგ გორგასლის სახელობის ევტერი, ქალაქ რუსთავში კი მისი სახელობის საკათედრო ტაძარი აიგო.

**გიული ლიპარტია**

## წმინდა გიორგის სახელობისა...

### მისი მადლი შესწეოდეს სრულიად საქართველოს!

**ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ კირცხში ადრე არსებული ეკლესიის შენობა სოფლის კლუბად იყო გამოყენებული და მრევლი უეკლესიოდ რჩებოდა.**

საბედნიეროდ, გამოჩნდნენ კეთილშობილი ადამიანები — ამჟამად თბილისში მცხოვრებმა შალვა გოშუამ და მიხეილ ჩხარტიშვილმა. მათ საკუთარი სახსრებით, მეგობრების თანადგომითა და ხელშეწყობით 1999 წლიდან დაიწყეს და უკვე დაამთავრეს კირცხის წმინდა გიორგის სახელობის ახალი ტაძრის მშენებლობა. ამ კეთილშობილურ საქმეში, ცხადია, აქტიურად მონაწილეობდნენ სოფელ კირცხის მცხოვრებლებიც.

ტაძრის მშენებლობის პროექტი და გენერალური გეგმა შეადგინა თვითონ შალვა გოშუამ.

სწორედ კირცხის წმინდა გიორგის სახელობის მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოების დამთავრებასთან დაკავშირებით, გაიმართა მრევლის ხალხმრავალი საზეიმო შეკრება. სტუმრებმა და მასპინძლებმა გულთბილად დალოცეს ახალი ტაძარი, ისურვეს, რომ მისი მადლი და ძალისხმევა შეეწიოს სრულიად საქართველოს!..



ბიზნესმენი შალვა გოშუა და სენაკის ეპისკოპოსი შიო მუჯირი

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

ხელოვნება

## რევაზ მიქაუტაძე

თბილისს კიდევ ერთი ნაღდი თბილისელი გამოაკლდა და ტკივილი და სევდა დაუტოვა ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, მეტისმეტად ძნელი იქნება რეზო მიქაუტაძეზე წარსულ დროში საუბარი. პიროვნება, რომელიც გამორჩეული იყო მეგობრობის საარაკო ნიჭით, იშვიათი კეთილგანწყობით, ტაქტითა და გულისხმიერებით. მისგან არავის ახსოვს ოდნავი წყენაც კი. გადაგებული იყო ყველაზე, ვისაც კი მისი ახლობლობა არგუნა ღმერთმა — ოჯახურად, სამსახურებრივად, თუ, თუნდაც, შემთხვევით.



რეზო ათწლეულების განმავლობაში უანგაროდ და კეთილსინდისიერად ემსახურა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, იყო შესანიშნავი პედაგოგი და ჯანდაცვის ორგანიზატორი. 1967 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, კურირებდა სოხუმისა და ბორჯომის შესაბამისი ცენტრების მუშაობას. დისერტაციის დაცვის შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში საქმიანობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრაზე ექიმად. მრავალი თაობის აღზრდაში აქტიურად მონაწილეობდა. უკანასკნელ წლებში იყო თბილისის ბავშვთა სანატორიუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი. მოღვაწეობის ყველა ეტაპზე სარგებლობდა განსაკუთრებული ავტორიტეტით და სიყვარულით.

ჩვენო რეზო!

შენთვის უდიდესი ტკივილი იყო გულღია, გულკეთილი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი ქალბატონის, სტუმართმოყვარეობის დიდოსტატის, მშვენიერი დიასახლისის და შესანიშნავი მეუღლის ქეთინო მგელაძის მოულოდნელი გარდაცვალება. იმ დღიდან დაიწყო შენი გაუსაძლისი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა. შენთვის წარმოუდგენელი იყო ქეთინოს გარეშე ცხოვრება და აი, შენი სული განერიდა წუთისოფელს, ზეცას აღევლინა და სამუდამოდ შეუერთდება ქეთინოსა და შენი მშობლების ნათელ სულებს.

მშვიდობით, ჩვენო კეთილო და საყვარელო მეგობარო.

ღმერთმა გაანათლოს შენი კეთილშობილი სული.

თამაზ ანთელავა, ვარლამ ბორჯაძე, ზაზა ბრეგვაძე, ნოდარ გომელაური, რევაზ ერისთავი, დავით კაკაბაძე, ავთანდილ კერძაია, თემურ კვესიტაძე, თამაზ მაისურაძე, თამაზ პატარიძე, გია ჟღენტი, ირაკლი ფაღავა, ვახტანგ ყიფიანი, რამაზ ხუროძე, თეიმურაზ ჯორბენაძე.

◎ ინფორმაცია

## ოქრუაშვილის საკითხი სულ მალე გაირკვევა

**თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატი ეკა ბესელია გერმანიიდან დაბრუნდა. ბესელიამ ბერლინის ციხეში მყოფი ექსმინისტრი რამდენჯერმე მოინახულა.**

ეკა ბესელიას განცხადებით, ოქრუაშვილი მხნედ გამოიყურება და გერმანიის მართლმსაჯულების იმედი აქვს.

— რამდენიმე დღეში გაირკვევა, მისცემენ თუ არა თავდაცვის ყოფილ მინისტრს პოლიტიკურ თავშესაფარს. ჩვენ ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარვადგინეთ, რომლითაც დასტურდება, რომ მისი ექსტრადირება დაუშვებელია, ვინაიდან საქართველოში ოქრუაშვილის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

გერმანული კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში თუ დაკავებულმა წარმოადგინა სამშობლოში მისი პოლიტიკური, რელიგიური ან რასობრივი დევნის დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტები, აღნიშნული პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან და ქვეყანაში, დროებით, სამწლიანი ცხოვრების უფლებას იღებს. ასევე გამონაკლისის სახით შესაძლებელია მისი მე-3 ქვეყანაში გამგზავრება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## განცხადება

2008 წლის 3 იანვარს 14 საათზე ქ. თბილისში ნუცუბიძის ქ. №56 შენდება სს „ეკოსპეცმშენი“-ს აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

სს „ეკოსპეცმშენის“ ქუთაისის ფილიალი „სპეცმშენის“ უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციის შესახებ.

**ადმინისტრაცია**

გიორგი დუნდუა ოჯახით იუწყება რომ, გარდაიცვალა
ნათია ბოკუჩავა
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.

პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნანა არაბიძის დედა
ნაზი არაბიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა კონტაქტს 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

● არც გათბობა მაქვს, არც შხაპი, არც საჭმელ-სასმელი...
უნდა როგორმე ვინმეს თავი დავაჭერინო...



№ 244. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2007 წელი.

## ექსპრეს-ტელეფონები

# ხელსაწყოს ფოსტა

- სახანძრო სამსახური 01, 754229, 755397;
- საპატრულო სამსახური – 022;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 033, 999208;
- გაზის საავარიო სამსახური – 04, 962715, 745904;
- სასწრაფო მომსახურება;
- ამინდის ბიურო 95 02 02;



- ფინანსთა სამინისტრო 22 17 80; 22 09 24;
- ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 93 40 41;
- კომუნიკაციების ეროვნული კომისია 98 23 38;
- ბავშვთა უფლებების დაცვის კრიზისული დახმარების ცენტრი 99 66 04;
- მერიის და საკრებულოს ცხელი ხაზი 994, 93 38 38, 93 38 39;
- მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური 37 78 70;
- შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური 22 61 48; 22 33 53;
- მერიის მოქალაქეთა მისაღები 99 08 66;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზი 99 74 10;
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 92 13 05;
- კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება 2 საათით, პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში 51 77 37;
- დაკარგული ნივთების ბიურო 98 81 39;
- სამისამართო ბიურო 34 60 00;
- დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 06; 99 06 06;
- ცენტრალური ავტოსადგური 72 34 33;
- რკინიგზის სადგურის ცნობარი 566253, 564760
- დიდუბის ავტოსადგური 34 72 39;
- ტაქსის გამოძახება 006, 929, 008;
- შსს მორიგე 99 95 24;
- ქალაქის მორიგე 98 54 74, 52 81 80;
- გაზი გამოძახებით 008;
- აეროპორტის ცნობათა ბიურო 43 32 21, 43 31 41;
- ვეტერინარული დიაგნოსტიკის ცენტრალური ლაბორატორია 53-09-67; 39-54-79;
- სახელმწიფო კანცელარიის ცხელი ხაზი 92 25 88; 92 26 84; 92 25 89; 92 26 85;
- უშიშროების სამინისტროს ცხელი ხაზი 95 36 53;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 28 47 47;
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ 22 37 60;
- სახალხო დამცველი 92 24 79; 99 08 36; 92 24 70;
- ომბუდსმენის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი 92 39 60;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 98 39 43; 99 53 50;
- ჯანდაცვის სამინისტრო 94-49 ან 94 34 98;
- საქართველოს შსს სანებართვო განყოფილების ცხელი ხაზი 98 56 01;
- იუსტიციის სამინისტრო 75 82 21;
- „თბილგაზის“ ცხელი ხაზი 20 04 05, საინფორმაციო 37 04 00;
- ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისძ – 25 01 45; 22 54 17;
- თელასის ცხელი ხაზი 77 99 99, საინფორმაციო 25 52; 25 52 11;
- წყალკანალის საავარიო სამსახური 62 31 28;
- კანალიზაციის საავარიო სამსახური 74 38 68;
- საქსტანდარტი 60 36 10;
- საქალაქთაშორისო კოდების ბიურო 95 07 01;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 94 33 11;
- რესპუბლიკური საპატრულო პოლიცია 80 02;
- შსს-ს საინფორმაციო ცენტრი 99 93 55;
- საბაჟო დეპარტამენტის ცხელი ხაზი 76 82 22;
- გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 53 06 32;
- მერიის „თბილლიფტი“ 95 43 71;
- ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი 99 04 02.



ლევან გაჩეჩილაძის შტაბი – თოფურიას ქ. №10 (ტელ. 32-05-47 ან 32-05-81ძ.



ბადრი პატარკაციშვილის შტაბი – ბოჭორმის ქ. № 20 (ტელ. 74-65-18, 74-69-68, ცხელი ხაზი 74-69-66ძ.



დავით გამყრელიძის საარჩევნო შტაბი – „მემარჯვენეების“ ოფისი, მის. ორთაჭალა, ჟანი კალანდაძის ქ. №3-ში (ტელ: 72-15-10ძ.



შალვა ნათელაშვილის შტაბი – ჯავახიშვილის ქ. №88 (ტელ: 91-16-17 ან 94-39-22, 91-04-05ძ.

## კანდიდატი გისმენთ



მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბი – ფილარმონია, მეორე სართული (ტელ. 92-05-87 ან 92-05-89ძ.



გია მაისაშვილის შტაბი – ყაზბეგის ქუჩა №44 (ტელ: 39-46-17ძ.



ირინა სარიშვილის შტაბი – ალმაშენებლის პრ. 52 (ტელ: 91-09-17 ან 91-09-16ძ.

## ანეკდოტები

ორი ძმაკაცი ერთმანეთს ხვდება:

– ვაჰ, რა მოდური ტანსაცმელი გაცვია! აქამდე მუდამ ფული გიჭირდა. ახლა უცებ როგორ გამდიდრდი, რით შოულობ ფულს?

– ახლა ავეჯს ვყიდი.

– ბევრი გაყიდე?

– კი, სახლში მხოლოდ ერთი ტაბურეტი დამრჩა.



* * *

ლონდონში ორი კაცი ხვდება ერთმანეთს.

– რა გვარი ხართ?

– შექსპირი.

– ოო, ძალიან ცნობილი გვარის ყოფილხართ.

– დიდი ამბავი, ოცი წელია ამ რაიონში რძეს ვყიდი.

* * *

თუ თქვენს განავალს ბუზების ნაცვლად ფუტკრები აჯდება, ტკბილეულობის ჭამა მიატოვეთ.

* * *

მთვრალ ქმარზე უარესი შეიძლება იყოს მხოლოდ გაფუჭებული სანტექნიკა.

გაფუჭებულ სანტექნიკაზე უარესი შეიძლება იყოს მხოლოდ მთვრალი ქმარი, რომელიც სანტექნიკას აფუჭებს.

მთვრალ ქმარზე უარესი, რომელიც სანტექნიკას აფუჭებს, შეიძლება იყოს მხოლოდ საერთოდ უქმრობა.

## ხუმრობით

# პრობლემა

*თურმე გახსნილა საპყრობილე გადასარევი,*
*ამერიკული სტანდარტების ზედვე მიზომვით.*
*იქ არ აკლიათ არც საჭმელი, არც დასალევი,*
*ცივ-ცხელი შხაპი, გათბობა თუ ტელევიზორი.*

*საბილიარდო, სპორტდარბაზი, ტირიც იქნება!*
*იმ ადგილას დგას, სადაც სულაც არ ჭირს მიგნება.*

*...ეგეთი რამე მე, დიახაც, დამევასება.*
*უნდა ვიჩქარო, თორემ მერე წავა ჩემი დრო:*
*არც გათბობა მაქვს, არც შხაპი, არც საჭმელ-სასმელი...*
*უნდა როგორმე ვინმეს თავი დავაჭერინო...*

ლარი ბელაშვილი


რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.


## დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია



პირველი ელექტრომობილი შეიქმნა ჯერ კიდევ 1842 წელს, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის 936 ბენზინიან ავტომანქანაზე მოდიოდა 1585 ელექტრონული.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 15 დეკემბერს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.